# ალია

1 ლარი

70 თეთრი

N23/2953/ 14-17 თებერვალი 2014 წ PRESS ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


შსს და იუსტიცია ჟურნალისტების წინააღმდეგ ომს იწყებენ...

ვის დაუჭერს მხარს პარლამენტი?

ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ კულტურის მინისტრი ტყუილში გამოიჭირა



კულუარები

ვის დაუჭერს მხარს ივანიშვილი, „რესპუბლიკელებს“ თუ არჩილ ხაბაძეს?



მამა თეოდორე გიგნაძე: „პატრიარქმა ივანიშვილზე თქვა ისეთი რაღაც, რასაც ვერ გეტყვით“





## რამდენით შეუმცირებს ღარიბაშვილი სახელმწიფო ორგანიზაციებს „გაბერილ“ ხელფასებს

„ალიას“ წყარო კონკრეტულ ციფრს ასახელებს

## ექსკლუზივი

## ელიავაზე მეწარმე ინფარქტით გარდაიცვალა



რამდენად რეალური იყო შემოსავლების სამსახურის ჯარიმა?

## კულუარები

## თომას ჰამერბერგი ღარიბაშვილს ბრალს სდებს!



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ჯეოსელში“ საგამოძიებო სამსახური შევიდა

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, ამ დროისთვის შემოწმების მიზეზები უცნობია.

„ვადასტურებთ, რომ 13 თებერვალს „ჯეოსელის“ სათავო ოფისში შემოვიდნენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები შემოწმების მიზნით. ჩვენი აზრით, ეს არის მიმდინარე შემოწმება და საქმის ვითარებაში სრულად გარკვევამდე კომპანია თავს შეიკავებს კომენტარის გაკეთებისგან“, – აცხადებენ კომპანიაში. (ფრონტნიუსი)

### საქართველოში ტემპერატურა 23 გრადუსამდე მოიმატებს

19 თებერვლის ჩათვლით, საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდები შენარჩუნდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილის, ნინო წვერავას განცხადებით, დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მცირე წვიმა და ნისლია მოსალოდნელი. ნისლი დილის საათებში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებშიც იქნება, მათ შორის – თბილისში.

16 თებერვალს მცირე ნალექია მოსალოდნელი დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მათ შორის თბილისში შესაძლოა, დღის ბოლოს იყოს მცირე წვიმა.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა +23 გრადუსი იქნება, ხვალ +20-22 გრადუსი, 16 თებერვალს +13 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში კი საშუალო ტემპერატურა 16 თებერვლამდე +13-15 გრადუსია მოსალოდნელი.

ამასთანავე, თბილისში 15 თებერვალს +17 გრადუსი იქნება, 16 თებერვალს +12 გრადუსი.

ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში +20 გრადუსამდე მოიმატებს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში +15 გრადუსი იქნება. (ინტერპრესნიუსი)

### ვაკო ავალიანი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

საქართველოს თავდაცვის მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს – მინისტრის მოადგილედ ვაკო ავალიანი დაინიშნა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკვე მოაწერა ხელი.

ვაკო ავალიანი თავდაცვის უწყებაში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალურ სფეროებს გაუწევს კურირებას.

ავალიანი საქართველოში რამდენიმე ხნის წინ დაბრუნდა რომიდან, სადაც ნატო-ს სამხედრო კოლეჯის უმაღლესი კურსი გაიარა. (ინტერპრესნიუსი)

## სტომატოლოგიურმა კლინიკებმა რეგულირების სააგენტოს 1-ელ მაისამდე უნდა აცნობონ

სტომატოლოგიურმა კლინიკებმა ფუნქციონირების და საქმიანობის შესახებ რეგულირების სააგენტოს 1-ელ მაისამდე უნდა აცნობონ. ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი მახათაძის განცხადებით, სავალდებულო იქნება,



ერთ სტომატოლოგიურ სავარძელზე დაცული იყოს რეგლამენტით განსაზღვრული მინიმალური ფართი.

„რაც შეეხება სხვა ნორმებს, საუბარია ტექნიკურ საკითხებზეც. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის უნდა იყოს თავისუფალი წვდომის საშუალება. მომსახურება მომხმარებლისთვის, ცხადია, არ გაძვირდება, რადგან ეს არის მინიმალური სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კლინიკა. შეტყობინების ვალდებულებაც არანაირ დამატებით ფინანსურ დანახარჯებს არ წარმოქმნის სტომატოლოგიური დაწესებულებებისთვის. ცვლილება განპირობებულია იმით, რომ აუცილებელია, გამკაცრდეს ინფექციებზე კონტროლი და შესაბამისად, პასუხისმგებლობა, რათა თავიდან იყოს აცილებული ინფექციების გავრცელება და ა.შ.“, – აღნიშნა მახათაძემ. (ინტერპრესნიუსი)



# რამდენით შეუმცირებს ღარიბაშვილი სახელმწიფო ორგანიზაციებს „გაბერილ“ ხელფასებს

## „ალიას“ წყარო კონკრეტულ ციფრს ასახელებს

13 თებერვალს სახელმწიფო კანცელარიაში ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის მიმდინარეობის დროსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაინტერესდა, რატომ აქვთ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სახელმწიფო შპს-ს თანამშრომელთა დიდ ნაწილს არარეალურად მაღალი ხელფასი.

ამ კითხვაზე პასუხი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან მოითხოვა. პრემიერის თქმით, დროულად უნდა მოხდეს ხელფასის საკითხისადმი რაციონალური მიდგომა და სწრაფად აღმოიფხვრას წლების განმავლობაში არსებული

ტურის მინისტრი დავით ნარმანია კი ამბობს, რომ სახელმწიფო შპს-ებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაწილის ხელმძღვანელებს, ხშირ შემთხვევაში მინისტრებზე მაღალი შრომის ანაზღაურება აქვთ:

„პრემიერის დავალების შესაბამისად, დაზუსტდება კიდევ ცალკეული დეტალები, რის შემდეგაც მუშაობა დაიწყება ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სსიპ-ებისა და სახელმწიფო შპს-ების ფინანსები საჯარო ფინანსების შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რაციონალური მართვა, რათა ეკონომიის შედეგად წარმოქმნილი თანხ-

მანკიერი დამოკიდებულება.

როგორც „ალიას“ ეკონომიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, თეა ბოლქვაძემ განუცხადა, სამინისტროში უკვე დაიწყეს ამ საკითხის შესწავლა და ჯერ ვერ დააკონკრეტებენ, რამდენით შემცირდება სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ შპს-სა და სსიპ-ების თანამშრომელთა ხელფასები.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქ-

ები სახელმწიფომ სხვა მიმართულებით გამოიყენოს“.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განმარტებით, შესწავლა მხოლოდ სახელმწიფო შპს-ებსა და სამინისტროების დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შეეხებათ.



ხადური აცხადებს, რომ რამდენად მაღალია ანაზღაურება სახელმწიფოს დაქვემდებარებულ უწყებებში, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე წარადგენენ, მოგვიანებით კი მთავრობის სხდომაზე. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, ვის აქვს ძალიან მაღალი ხელფასი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულად ითვლება 1 724 000 ადამიანი. აქედან, თვითდასაქმებულია 1 054 000, დაქირავებით დასაქმებული კი – 662,2 ათასი ადამიანი.

სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2012 წლის მონაცემებით განისაზღვრა 712 ლარით. 2013 წლის ამგვარი სტატისტიკა ჯერ არ არსებობს. რაც შეეხება სსიპ და სახელმწიფო შპს-ში არსებულ ხელფასებს, ის ზედა რგოლში შეადგენს თვეში დაახლოებით 5-7 ათას ლარამდე. ერთი საფეხურით ქვედა რგოლის (სსიპ ხელმძღვანელის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელების) ხელფასი განისაზღვრება 2000-დან 3700 ლარამდე, ხოლო ქვედა რგოლში ხელფასი განისაზღვრება 700-დან 2000 ლარამდე.

საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო უწყებას დაქვემდებარებული შპს-ების რაოდენობა რამდენიმე ასეულია. მხოლოდ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ის რაოდენობა 75-ია.

როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, პრემიერ მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭო სსიპ-სა და სახელმწიფო შპს-ში მომუშავე პირთა ხელფასების საკითხის შესწავლას რამდენიმე კვირაში დაასრულებს. რაც შეეხება ხელფასების რაოდენობის შემცირებას, როგორც „ალიას“ პრემიერ-მინისტრის აპარატთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, ხელფასები 25-დან 35%-მდე შემცირდება.

ძალიანაც კარგი, უნდა შემცირდეს, რადგან ფაქტია, რომ ამხელა ხელფასების მიუხედავად, გალატაკებულ მოსახლეობას, გაზულუქებული ჩინოვნიკების ზრუნვა არანაირად არ ეტყობა, პირიქით, მოსახლეობის მიერ შევსებული ბიუჯეტის ხარჯზე მოიწყვეს ცხოვრება და ხალხს აქედან რა ხეირი?

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „აგრობარათები“ თბილისს შემოერთებულ ტერიტორიაზე მიწის მფლობელებსაც დაურიგდებათ

ე.წ. „ხვნის ბარათები“ და „აგრობარათები“ თბილისის შემოერთებულ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელებსაც დაურიგდებათ. მერიის განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №141 განკარგულებით ქალაქ თბილისის მერიას ეთხოვა, უზრუნველყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის შემოერთებული სოფლების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა, მოსარგებლეთა ან/და ფაქტობრივ მფლობელთა დაზუსტებული მონაცემების მიწოდება „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტისთვის“.

ამ პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს ე.წ. „აგრობარათები“ დაურიგდებათ. ბარათების გასაცემად მოსახლეობის რეგისტრაციას განახორციელებენ ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობების შესაბამისი სამსახურები. დაინტერესებულ პირებს უბნების (მუნიციპალიტეტების) მიხედვით შეუძლიათ მიმართონ შემდეგ მისამართებზე:

გლდანი: ავჭალა, გლდანის ხევის უბნის სამსახური – ლიბანის ქ №1; გლდანის ლუწი მიკრორაიონები უბნის სამსახური – გლდანის მას., 4მ/რ, კორპ. №109; გლდანის კენტი მიკრორაიონების უბნის სამსახური – გლდანის მას., 3 მ/რ, კორპ. №87; მუხიანის უბნის სამსახური – მუხიანის დას., 4 მ/რ, კორპ.№ 9

სამგორი: ვარკეთილის მეურნეობა, პატარა ლილო, ორხევი, აეროპორტის მუნიციპალიტეტი – ორხევი, მუხაძის ქ. №6; დიდი ლილო, წინუბანი, ნასაგური – ლილოს მუნიციპალიტეტი – ლილო, ფრანგულიანის ქ. №19.

ჩუღურეთი: ზემო ჩუღურეთის უბნის სამსახური – ზაზიაშვილის ქუჩა №2.

მთაწმინდა: წავკისი-შინდისი-ტაბახმელას უბნის სამსახური – თბილისი-კოჯრის გზატკეცილი №25; კიკეთი-კოჯრის უბნის სამსახური – კოჯორი, ტაბიძის ქუჩა №2.

კრწანისი: კრწანისის რაიონის გამგეობა – გორგასლის №115.

კალა-ორთაჭალის მუნიციპალიტეტი – ორთაჭალის ქუჩა №4.

ფონიჭალის მუნიციპალიტეტი – რუსთავის გზატკეცილი №263.

ვაკე: წყნეთის მუნიციპალიტეტი – წყნეთი, ამილახვრის ქ. №19.

ნუცუბიძის მიკრორაიონების მუნიციპალიტეტი – ნუცუბიძის მე-5 მ/რ, კორპ №1

საბურთალო: დიღომი-ვაშლიჯვრის მუნიციპალიტეტი – დიდი დიღომი, პეტრიწის ქ. №10. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმის მერის მოვალეობას გიორგი ერმაკოვი შეასრულებს



აღნიშნული გადაწყვეტილება ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ, ირაკლი ჩავლეიშვილმა მას შემდეგ გამოაცხადა, რაც მოქმედი მერის ჯემალ ანანიძის განცხადება გადადგომის შესახებ საკრებულომ დააკმაყოფილა.

როგორც გიორგი ერმაკოვმა განმარტა, ბოლო დღეების განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები და არჩევანი მასზე შეჩერდა. მისივე თქმით, დიდი ცვლილება არ მომხდარა, რადგან ვიცე-მერის პოსტს იკავებდა.

ერმაკოვი ვიცე-მერის პოსტზე 2014 წლის 30 იანვარს დაინიშნა. ის ბოლო პერიოდში ბათუმის შემოსავლების სამსახურში მუშაობდა. 2008 წელს გიორგი ერმაკოვი აჭარის გარემოს დაცვის ინსპექციის ხელმძღვანელად დაინიშნა. მანამდე კი შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასა და ეკოლოგიურ დანაშაულთა ბრძოლის სამმართველოს უფროსი იყო. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ კულტურის მინისტრი ტყუილში გამოიჭირა

საქართველოს მთავრობაში ფულის ფლანგვის პროცესი ფართომასშტაბიანი ტემპით მიმდინარეობს – პრემიებსა და უსაშველოდ გაზრდილ ხელფასებს ახლა გაბერილი სამივლინებო ხარჯებიც ემატება.

ამჯერად ასეთი „იალლიში“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, გურამ ოდიშარიას ამოუქექეს: შარშან ბატონი გურამი თავის ორ მოადგილესთან, მანანა ბერიკაშვილთან და მარინე მიზანდართან ერთად ფრანკფურტში წიგნის ბაზრობაზე ჩაბრძანდა, რისთვისაც, მისივე ბრძანებით (2013 წლის 27 სექტემბერი), თითოეული თანამდებობის პირისთვის სასტუმროში სამი ღამის ხარჯის დასაფარად ბიუჯეტიდან გამოიყო 5496 ლარი, ანუ 2445 ევრო, რაც ერთ ღამეში დაახლოებით 815 ევროს შეადგენს. ვინც ასეთ საკითხებში ვერ ერკვევა, შეიძლება იფიქროს, ეს თანხა დიდი არაფერიაო, მაგრამ ვინც ერკვევა, ის აუცილებლად გააპროტესტებს, რადგან გერმანიაში ერთი ღამით სასტუმრო 815 ევრო ნამდვილად არ ღირს.

თავად გურამ ოდიშარია მაღალ დანახარჯებს სასტუმროებისა და რესტორნების გაძვირებით ხსნის:

„ფრანკფურტში შარშან ჩატარდა წიგნის ბაზრობა, რომელიც დიდი ხანია, ტარდება და არის მსოფლიო მნიშვნელობის. ასეთ დროს ფრანკფურტს მილიონზე მეტი სტუმარი ჰყავს. როგორც ჩემმა პროტოკოლმა შემატყობინა, ასეთ დროს ძალიან ძვირდება სასტუმროები, რესტორნები. ამ ყველაფერს გამოვიკვლევთ და ზუსტად, ოფიციალურად მოგაწვდით ინფორმაციას“.

კულტურის მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ხშირად უწევს საზღვარგარეთ მგზავრობა, თუმცა არასდროს იყენებს ბიზნესკლასს, მიუხედავად იმისა, რომ ეკუთვნის.



დიიიდი მადლობა, ბატონო გურამ, თურმე ბიზნესკლასი გეკუთვნით „სამალიოტში“, მაგრამ არ იყენებთ, ეს დიდი შეღავათი და დაფასებაა ჩვენთვის, მაგრამ სამაგიეროდ, 130-ევროიან სასტუმროში იხდით 815 ევროს.



ძვირფასო მკითხველებო, ბატონი მინისტრი ან მაგრად გვატყუებს, ან ბევრ რამეში ვერ ერკვევა: ჯერ ერთი, არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის (№231) ბრძანებულება, სადაც სიტყვასიტყვით წერია, რომ გერმანიაში მივლინების დროს კვება ჯდება 57 ევრო დღიურად, ხოლო ბინის ქირა დღე-ღამეში არ უნდა აღემატებოდეს 153 ევროს. ამავე ბრძანებულებას ხელს აწერს იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრიც; მეორე – ფრანკფურტის მიმართულებით თვითმფრინავის ბილეთი ღირს, ეკონომკლასი – 308 ევრო, ხოლო პირველი კლასი – 407 ევრო. გამოდის, ამ შემთხვევაში, გურამ ოდიშარია გვიზოგავს 99 ევროს.

**როგორც საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი კოლეგა, გიორგი ფოფხაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, გურამ ოდიშარია იმ მხრივაც იტყუება, რომ ევროპაში რა ღონისძიებაც არ უნდა ჩატარდეს და ამა თუ იმ ქვეყანას რამდენი ადამიანიც არ უნდა მიაწყდეს, სასტუმროებსა და რესტორნებში ფასები არ მატულობს:**

– შარშან „მეცხრე არხიდან“ მივლინებული მეც ვიყავი ფრანკფურტის ბაზრობაზე და ზუსტად მახსოვს, რომ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გვქონდა აღებული ნომერი, სხვა სასტუმროებში ადგილი არ იყო. ჩვენ გადავიხადეთ 115 ევრო, პლუს – 15 ევრო საუზმე. 815 ევრო პარიზში არ ღირს „აპარტოტელებში“, აგერ ვარ ცოცხალი მოწმე, სულ მოგზაურობაში ვიმყოფები. პრეზიდენტის ბრძანებულება, პირველ რიგში, ეხებათ სახელმწიფო სტრუქტურებს. ამას დავანებოთ თავი, როცა ოდიშარია იძახის, მაგ დროს ყველაფერი ძვირდებაო, ტყუის, ევროპა ვაგზლის ბაზრობა კი არ არის!

**— მინისტრი აქეთ გვამადლის, პირველი კლასით არ ვმგზავრობ, ფულს გიზოგავთო.**

– კარგი, რაა, ხომ ხედავ, რომ ყველა ნიხრი დარღვეულია? ახლა გეტყვი, გერმანიაში ყველაზე ძვირი არის სასტუმრო „ანტრიუმი“, დღეღამე ღირს 400 ევრო. ვიმეორებ, ეს არის ფრანკფურტში და არის ყველაზე ძვირი, ამ თანხაში შედის კვებაც. არ დაგავიწყდეს, ჩვენ მაშინ ვიყავით ქალაქგარეთ, ანუ ბაზრობა იმართება ხოლმე ქალაქგარეთ, სადაც სასტუმროები უფრო იაფია, ჩვენ დავბინავდით „რედისონში“. მე ნამდვილად არ მახსოვს, მინისტრი და მისი მოადგილეები სად ცხოვრობდნენ, მაგრამ ამდენი ფული არ უნდა გადაეხადათ, ლუქსი სასტუმროები საშუალოდ 150-დან 200 ევრომდე მერყეობს. გარდა ამისა, რაც მაგათ თანხა აქვთ გამოწერილი, საერთო ჯამში, ეგეც მაგრადაა გაბერილი, ამდენს ხოდორკოვსკიც კი ვერ დახარჯავს გერმანიაში, თან მკვდარ ფრანკფურტში. ყველაზე ძვირი საერთოდ შვეიცარიაა, მაგრამ იქაც არ არის საჭირო ამდენი.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შიხიაშვილის ჭკუაზე დადიან ივანიშვილი და ღარიბაშვილი?

გიგი უგულავა თვითმმართველობებთან და თბილისის ბიუჯეტთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა:



„ბიუჯეტთან დაკავშირებით, ფაქტია, ყველაფერი იქით მიდის, რომ მთავრობას განზრახული აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის, საკრებულოსა და მერიის დათხოვნა არჩევნების წინ. მთავრობაში მე არ ვგულისხმობ ღარიბაშვილს, ვგულისხმობ, პირველ რიგში, ივანიშვილს. პოლიტიკურ ოპონენტებს იშორებ იმის ხარჯზე, რომ მთლიანად თვითმმართველობას აუქმებ, ასეთი რამე არც პუტინს და არც ლუკაშენკოს არ ჩაუდენია. ამას თუ დავამატებთ იმ დაჭერებს, რაც რეგიონებში ხდება, ვგულისხმობ ხონში, გამგებლის დაჭერას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დაპატიმრებას, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებას პირდაპირ გადაწყვეტილი აქვს, თვითმმართველობა დაახრჩოს არჩევნების წინ და შემდეგ ფასადური არჩევნები... საუბარი თავისუფალ არჩევნებზე ზედმეტია, იმიტომ რომ კონკურენტებს იშორებ და თვითმმართველობას აუქმებ. სამარცხვინოა, როდესაც შიხიაშვილის ჭკუაზე დადის ივანიშვილი და ღარიბაშვილი. ამ დღეების განმავლობაში მოვისმინე ბრალდება, თითქოს მე ვმართავ ამ პროცესებს. მე მინდა მას, ვისაც პოლიტიკა საერთოდ არ ესმის, ანუ შიხიაშვილს ავუხსნა ერთი რამ, რომ პოლიტიკური საქმიანობა ჩემთვის არავის აუკრძალავს და მე მაქვს უფლება, ჩემს კოლეგებთან გავიარო კონსულტაცია და ჩემი რჩევებიც მივცე“. – (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფიფიამ ანგარიში წარადგინა



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ მიმდინარე და სამომავლო სამუშაოების შესახებ ანგარიში წარადგინა.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში 10 000-მდე ბენეფიციარზე გაცემულია სხვადასხვა ტიპის სუბსიდირებული სესხი. მისივე მონაცემებით, გაცემული სესხების ჯამურმა თანხამ 310 601 001 ლარამდე შეადგინა.

მინისტრის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, რომელიც დაბალი ეკონომიკური აქტივობის მქონე რაიონებში ახალი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს. დღეისთვის რეგისტრაცია გაიარა 100-ზე მეტმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა.

სამინისტროს ცნობით, 2013 წელს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოში წყალუზრუნველყოფილი გახდა 74.3 ათასი ჰა სავარგული. მიმდინარეობს ორი ახალი წყალსაცავის – თეძამისა და არხაშენის მოწყობა.

2013 წელს მანდარინის წარმოებამ 100 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელს 40.6%-ით აღემატება. ხელისუფლებამ ციტრუსის სუბსიდირებისთვის 13 მილიონ 800 ათასი ლარი გამოყო, რაც 7-ჯერ აღემატება 2012 წელს გამოყოფილ თანხას. 2013 წლის მონაცემებით, ქართული მანდარინის ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსში, მოლდოვაში, უზბეკეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში. დეკლარირებულმა და არადეკლარირებულმა ექსპორტმა 60 000 ტონა შეადგინა.

სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა ახალი უწყება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც კოოპერაციის პროცესის წახალისებისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამასა და ხელშემწყობ ღონისძიებას განახორციელებს. (ინტერპრესნიუსი)

## ივანიშვილმა ჯილაურას მეურნეობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცა



საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯილაურას მეურნეობა გადასცა.

სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიას განცხადებით, დამტკიცდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ბაზაც ჯილაურას მეურნეობა იქნება. მინისტრის განმარტებით, სოფლის მეურნეობის დარგში დიდი ხანია, სახელმწიფოს მიერ არანაირი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა არ განხორციელებულა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ცენტრს მნიშვნელოვანი მიზნები ექნება.

„ჩვენი მიზანია, დაახლოებით 2-3-წლიან პერიოდში შესაძლებელი იყოს სათესლე და სარგავი მასალის სერტიფიცირება და აპრობირებული გამოცდილი მასალის გამოყენება დასათესად სხვადასხვა რაიონში“, – აღნიშნა ფიფიამ.

სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას, დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, მოსავლიანობის ზრდასა და არსებული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გაანალიზებასა და გადაჭრას. თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შეფასების უზრუნველყოფას. (ინტერპრესნიუსი)

# რა სკანდალს გაურბის ხელისუფლება ევროკავშირთან?

ევროკავშირი საქართველოში მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ ჯაშუშად შერაცხულ რაიან გრისტს აგზავნის. ის დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა. მიღებული აქვს კენტის უნივერსიტეტის სადოქტორო ხარისხი საერთაშორისო კონფლიქტების ანალიზის სფეროში. 2008 წელს გრისტი საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე იყო. ომის დაწყებისას, დასავლური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში აცხადებდა, რომ 7 აგვისტოს საქართველოს თავდასხმა ცხინვალზე აბსოლუტურად არაპროპორციული იყო. მართალია, ახლა გრისტი თავს იმართლებს, მაგრამ გარკვეული ეჭვები მაინც რჩება, არც ის არის გამორიცხული, რომ ის რუსეთის აგენტი იყოს:

„მე არასდროს მითქვამს, რომ ოსების მხრიდან პროვოკაციები არ ყოფილა. ის, რაც მე ვთქვი, არის, რომ საქართველოს ხელისუფლების პასუხი იყო აბსოლუტურად არაპროპორციული. როდესაც ახორციელებ განურჩეველ დაბომბვას, ამას მოჰყვება რუსეთის პასუხი“.

„ალია“ შეეცადა, ამ საკითხზე ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ვიქტორ დოლიძის კომენტარიც მოეპოვებინა, მაგრამ მას ყველა ტელეფონი გამორთული ჰქონდა. რაც შეეხება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს, მან კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ამ საკითხებში ვერ ერკვევა. დიდი ბოდიში ბატონ ირაკლისთან, მაგრამ, თუ ვინმე უნდა ერკვეოდეს, ვის აგზავნის ევროკავშირი საქართველოში, ეს, პირველ რიგში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს.

**როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, როცა ადამიანს ასეთი ორიენტაცია აქვს, გამორიცხული მართლაც არაფერია:**

– ნეტა რას ერჩი ამ ვიღაც გრისტს, აგერ, ჩვენები არ ყვირიან, ომი საქართველომ დაიწყოო? ბოლოს და ბოლოს, ვთქვათ სიმართლე, ქართული სოფლები იბომბებოდა სპეციალურად, პუტინმა ანკესი გადმოაგდო და ამაზე მიშა წამოეგო. მე ომამდე ორი კვირით ადრე შევხვდი სააკაშვილს, რაღაც მინიშნებები გააკეთა და ვკითხე, რამე რომ იყოს, რუსეთი არ ჩაერევა-მეთქი? სოსო, აფხაზეთში რომ შევიდეთ, აუცილებლად ჩაერევა, მაგრამ ცხინვალისთვის თავს არ შეიწუხებს, ეგ რეგიონი არ სჭირდებაო. მე მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ მიშა ომს დაიწყებდა და ამიტომ რჩევაც არ მიმიცია. მე ვეკითხები მაგათ, სად იყვნენ ევროკავშირის დამკვირვებლები მაშინ, სად იყო დაზვერვის „გამოსირებული“ შეფი, ბეჟუაშვილი? სად იყო ჩვენი გენშტაბი, ჩვენ ცხინვალში დაზვერვა ხომ უნდა გვყოლოდა?



**— ბატონო სოსო, ეს სვლა რაზე მიანიშნებს, ამ ადამიანის გამოგზავნით რას აკეთებს ევროკავშირი? უბრალო დაუდევრობაა?**

– არაფერი დაუდევრობა არ არის, ევროკავშირს ჰყავს თავისი ჩინოვნიკები. შენ არ გეგონოს, ევროკავშირი მთლიანად ევროპულია და რუსეთის წინააღმდეგია. იქ ძალიან ბევრი ადამიანია რუსეთისადმი სიმპათიებით განწყობილი, ვიდრე საქართველოსადმი. საერთოდ, ისიც გასარკვევია, რას წარმოადგენენ ეს მეთვალყურეები. რამდენიმე წლის წინათ ერთ გერმანელ დამკვირვებელს ვიცნობდი, აკადემიაში მოდიოდა ხოლმე ჩემთან. ეგენი ყოველდღე წერდნენ „პატაკებს“, კოკოითი შეთანხმებას არღვევს, ქართული სოფლები იბომბებაო. ამან შეაცდინა მიშა, იფიქრა, რაკი ევროპამ იცის, რომ იქიდან კოკოითი ისვრის, მეც დავცხებ, ვერავინ გამამტყუნებსო. ახლა იძახიან, მძინარე ცხინვალი დაიბომბაო, რა მძინარე, როცა კოკოითიმ ორი კვირით ადრე გახიზნა ხალხი? მოკლედ, მიშას „აჭამეს“ და ამანაც „ჭამა“. მე ძალიან კარგად მახსოვს, იმ პერიოდში ნატოს წარმომადგენლები ჩამოდიოდნენ და იცი, როგორ შეფასებებს აკეთებდნენ? მსგავსი არმია ევროპაში არ არსებობსო. მაგათაც გააგიჟეს მიშა, რომ შეხედავდი ჩვენს ჯარს, მართლა დაიჯერებდი, რომ ძლევამოსილი იყო. უახლესი ტექნიკით აღჭურვეს, რუსები გაგიჟდნენ, ასეთი იარაღი ხელში არ გვჭერიაო. ოთხი „ჰამერი“ წაიყვანეს, გაოცებულები იყვნენ. რომ ამბობენ, კოდორიდან რუსებმა დიდძალი იარაღი წაიღესო, ეგ ინფორმაციაც მაშინ თავდაცვის სამინისტრომ შემოაგდო, სინამდვილეში იქ ბევრი არაფერი არ იყო, აქ ფული „მოიხსნა“. ტყუილად არ არის ნათქვამი: „ომი ყველაფერს ჩამოწერს“.

რაც შეეხება რაიან გრისტს, აბსოლუტურად არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის აგენტი იყოს. კარგად დაიმახსოვროს ყველამ, რუსეთს აგენტურა ჰყავს ყველგან, მათ შორის, ევროკავშირშიც. ნახე, რას აკეთებს მოსკოვი, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის საუბარი ჩაწერეს კიევში. დღეს რუსების აგენტურა მუშაობს თბილისშიც, თავდაცვის სამინისტროშიც. საქართველო რას მიქვია, ეგენი ნატოშიც მუშაობენ, ამერიკის ხელისუფლებაშიც, ხალხს სიცრუის დეტექტორებზე ამოწმებენ და რუსი აგენტები იქაც კი არ იჭრებიან, ისეთი მაგრები არიან. სხვა დამკვირვებლებსაც ვიცნობდი, ეგენი კრწანისში ცხოვრობდნენ. ერთი გაგიჟებული იყო, მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი, ასეთი ხარისხიანი და იაფი ხილი არსად მინახავსო, ბაზრიდან აღარ გამოდიოდნენ.



რაიან გრისტი

**— როცა ასეთი ეჭვი არსებობს, ხელისუფლებამ ან არ უნდა გააპროტესტოს, ან არ უნდა გადაამოწმოს?**

– კაი, კაცო, მეტი საქმე არა აქვთ, ევროკავშირის გამოგზავნილი კაცი ამოწმონ, საერთოდ არ აინტერესებთ. სკანდალს ყველა ერიდება. არადა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ დამკვირვებლები საქართველოს სიყვარულით ჩამოდიან, ძალიან ცდება. ეს ქვეყანა მაგათთვის არის ფულის საშოვნელი ადგილი. გარდა ამისა, ეგენი აქ პრაქტიკას გადიან და მერე ევროკავშირში წინაურდებიან. დღეს ნებისმიერ ევროჩინოვნიკს რომ ჰკითხო, რომელიც ომის ამბებში ერკვევა, გეტყვის, რომ სააკაშვილი იდიოტივით წამოეგო პუტინის პროვოკაციას, ამას პუტინმა დააწყებინა ომი და ამაში ამერიკელებსაც მიუძღვით დიდი წვლილი.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნეტა, ზურაბ ადეიშვილს არ მოიკითხავს?



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით უნგრეთს ესტუმრა. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, უსუფაშვილთან ერთად უნგრეთს პარლამენტის წევრები: თედო ჯაფარიძე, ივანე კილურაძე, დავით ონოფრიშვილი და თინათინ ბოკუჩავა ეწვივნენ.

ორი დღის განმავლობაში დაგეგმილია შეხვედრები უნგრეთის პრეზიდენტთან, იანოშ ადერთან, სახელმწიფო მინისტრთან საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, ჟოლტ ნემეტთან, თავდაცვის მინისტრთან, ჩაბა ჰენდესთან, უნგრეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერთან, ლასლო კოვერთან და ეროვნული ასამბლეის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, მიჰაი ბალასთან.

დავით უსუფაშვილი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტსაც ეწვევა, სადაც ქართველ სტუდენტებს შეხვდება და ლექციას წაიკითხავს. (ინტერპრესნიუსი)

## ჯგუფური ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით სამი პირი დააკავეს



შსს-ს ცნობით, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა 1974 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი რამაზ დ., 1984 წელს დაბადებული ლაშა ნ. და 1969 წელს დაბადებული ლუკა ჭ. ჯგუფური ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე სამშენებლო კომპანიის დაყაჩაღების გეგმა შეიმუშავეს. ერთ-ერთმა დაკავებულმა, ლუკა ჭ-მ, რომელიც ჩინური სამშენებლო კომპანიის მძღოლად მუშაობდა, თანამზრახველებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანიის სეიფში დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის თანხა ინახებოდა და დეტალურად აუხსნა, როგორ შეიძლებოდა კომპანიის ოფისში შეღწევა. რამაზ დ. და ლაშა ნ. იმ დროს დააკავეს, როცა ისინი გეგმის განსახორციელებლად ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. მათი თანამზრახველი ლუკა ჭ. კი მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აიყვანეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად „გლოკის“ სისტემისა და „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტების მაკეტები, 4 ნიღაბი, 8 ცალი სამედიცინო ხელთათმანი, 2 ხანჯალი და წებოვანი ლენტი ამოიღეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. (ინტერპრესნიუსი)

რა სახიფათო ჩანაწერი გაკეთდა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილე-

ჩანაწერის ან/და ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვება, ში-

ნაარსის გაცნობა, შენახვა ანდა მისი საიდუმლოების სხვაგვარი უკანონო დარღვევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4

წლამდე. კანონში განმარტებული არ არის, რა შემთხვევაში იქნება სასჯელს აცილებული პირი, რომელიც უკანონოდ მოიპოვებს ორი ადამიანის

კანონპროექტს და მაშინვე დავაყენე საკითხი შეხვედრაზე, რომ კანონში ჩადებული ეს დეფინიცია სახიფათო იყო, ვინაიდან ამ შემთხვევაში

„ჟურნალისტური საქმიანობისთვის აუცილებელია, რომ მედიის ნებისმიერმა წარმომადგენელმა განახორციელოს საუბრის ჩაწერა. მას შემდეგ,

# შსს და იუსტიცია ჟურნალისტების წინააღმდეგ ომს იწყებენ...

## ვის დაუჭერს მხარს პარლამენტი?

ბეზში? აეკრძალებათ თუ არა მედიის წარმომადგენლებს რესპონდენტების ფარული ჩაწერა?

შინაგან საქმეთა სამინისტრო უახლოეს მომავალში პარლამენტს გადაუგზავნის სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს, რომელიც კერძო საუბრისა და ფარული ვიდეოჩანაწერების უკანონოდ მოპოვებასა და გავრცელებას ეხება.

ცვლილებების პროექტი „ალიას" „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" მიაწოდა. ცვლილებების მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის 2-3 პუნქტში ვკითხულობთ: „ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის


ეკა ბოკუჩავა

კერძო საუბარს, თუნდაც საუბრის მონაწილე თვითონ იყოს. ასეთ შემთხვევაში კანონი იძლევა საშუალებას, პასუხისგებაში მიეცეს მედიის ყველა ის წარმომადგენელი, რომელიც ფარულად ჩაიწერს რესპონდენტის საუბარს და გაავრცელებს. ამას გარდა პასუხისმგებლობას ვერ ასცდება პირი, თუკი ის ქრთამის აღების ან გაცემის დროს ჩაიწერს საჯარო მოხელის დანაშაულებრივ ქმედებას და შემდეგ ამ ჩანაწერს გაასაჯაროებს.

კანონში რომ ეს მუხლი უნდა ჩადებულიყო, ამის შესახებ „ალიას" ინფორმაცია ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ მიაწოდა იურისტმა კახა კახიშვილმა, რომელმაც მაშინ განაცხადა: „მე გავეცანი ამ მედიის წარმომადგენლებსაც ეკრძალებათ საუბრის ჩაწერა ფარულად. თუმცა იუსტიციისა და შს მინისტრებისგან მივიღე პირობა, რომ კანონის ეს ნაწილის გადაიხედებოდა". თუმცა, როგორც ვნახეთ, არც იუსტიციის სამინისტროსა და არც შსს-ს ცვლილებების შეტანის დროს ექსპერტის ეს შენიშვნა არ გაუთვალისწინებიათ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მთავარი იურისტი **ეკა ბოკუჩავა** „ალიასთან" საუბრისას აცხადებს, რომ საკითხით დაინტერესდებიან და თუკი ცვლილებების პროექტი ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შემშლელი იქნება, რეკომენდაციით მიმართავენ ყველა შესაბამის ორგანოს. რაც პარლამენტში დაიწყება კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა, თუკი დადგინდება, რომ არსებული ჩანაწერი უკანონო ჩანაწერებთან დაკავშირებით ეხება მედიის წარმომადგენლებს, ბუნებრივია, მივმართავთ რეკომენდაციით, რომ დაზუსტებული იყოს ეს ნორმა. თუკი გაირკვევა, რომ ცვლილებებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას ჟურნალისტს თავისი საქმიანობის განხორციელების დროს, აუცილებლად გავაკეთებთ ამის შესახებ განცხადებას და მივმართავთ რეკომენდაციით ყველა უწყებას, რომელსაც კი ეს საკითხი ეხება". – ამბობს ბოკუჩავა.

**შორენა გოგოლაძე**
599 27 75 27

# საქართველოს ბანკის დაფინანსებით სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის უნიკალური ცენტრი – Health Palace გაიხსნა

მათთვის, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს და მათთვისაც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი, შესანიშნავი სიახლეა – თბილისში, კერძოდ კი სანდრო ეულის ქ. №7-ში სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის უნიკალური ცენტრი – **Health Palace** გაიხსნა.



უმაღლესი დონის მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა „საქართველოს ბანკის" მიერ დაფინანსდა, სამშენებლო სამუშაოები კომპანია „ტეტრისმა" ჩაატარა, ხოლო იდეა აკადემიკოს დავით ტატიშვილს ეკუთვნის, რომელიც **Health Palace** -ის გენერალური დირექტორი გახლავთ.

უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებას ბოლო წლების მანძილზე „საქართველოს ბანკი" აქტიურად უჭერს მხარს და როგორც ბანკის წარმომადგენლები განმარტავენ, ეკონომიკურად გამართლებული პროექტების დაკრედიტება მომავალშიც გაგრძელდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **Health Palace** სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის პირველი უნივერსალური კომპლექსია საქართველოში.

ცენტრი აღჭურვილია ულტრათანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო აპარატურით. რაც ყველაზე მთავარია, **Health Palace** -ის გარემო სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თავისუფლად მიღებისა და რეაბილიტაციისთვის. გარდა ამისა, ცენტრის კარი ღიაა სპორტსმენებისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრებისთვის, ბავშვებისთვის და მოკლედ, ყველასთვის, ვინც იცის, რას ნიშნავს ჯანმრთელობა, ჯანსაღი სხეული და მუდმივად ფორმაში ყოფნა.



ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სიახლე, რომელიც **Health Palace** -მა სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში დანერგა, ჰალოთერაპიაა, რისთვისაც შეიქმნა ხელოვნური მღვიმე, მოპირკეთებული ჰიმალაის მარილითა და ვარდისფერი კვარცით. ჰალოთერაპიით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს სასუნთქი გზების, კანისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ქრონიკული დაღლილობისა და უძილობის პრობლემები, ასთმა და ასე შემდეგ.

**Health Palace** -ში შესაძლებელია ჰიდროთერაპიის სრული კურსის ჩატარება, სპეციალურად ადაპტირებულ საცურაო აუზში, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ისე ბავშვებისთვის.

დაბოლოს, **Health Palace** გათვლილია პრაქტიკულად, ნებისმიერი სოციალური სფეროს წარმომადგენლისთვის, რადგან ფასები იქ ყველასთვის ხელმისაწვდომია.

**სულხან გვალია, „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე:**

– რამდენიმე წელია, „საქართველოს ბანკი" ჯანდაცვის სფეროს აქტიურად აკრედიტებს. სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი საქართველოში პირველად გაიხსნა და ბანკმა მის დასაფინანსებლად თანხა სიამოვნებით გამოყო. ჩვენთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული ცენტრი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. მომავალშიც, თუ ცენტრს განვითარების მხრივ რაიმე ახალი პროექტი ექნება, თანამშრომლობისთვის „საქართველოს ბანკი" მზად არის.

**დავით ფანჯიკიძე, კომპანია „ტეტრისი":**

– სულ რაღაც ერთი წლის წინათ აქ, ამ ტერიტორიაზე ვერაფერს ნახავდით – იყო ცარიელი ადგილი და მხოლოდ იდეა. „საქართველოს ბანკის" დახმარების გარეშე ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება ძალიან რთული იქნებოდა. ამიტომ მინდა, ბანკს დიდი მადლობა გადავუხადო, რომ დაინტერესდა პროექტით და მისი განხორციელების საშუალება მოგვცა.

**დავით ტატიშვილი, Health Palace -ის გენერალური დირექტორი:**

– დღეს, მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი დღეა: „საქართველოს ბანკისა" და სამშენებლო კომპანია „ტეტრისის" დამსახურებით, წარმოგიდგენთ უნიკალურ შენობას – პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მოგვეცა შესაძლებლობა, ერთ ცენტრში, ყველა ასაკის, ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემის მქონე ადამიანს, ჩაუტარდეს ნებისმიერი სახის აღდგენითი სამედიცინო ღონისძიება. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში, დღემდე იყვნენ ძალიან მაღალი დონის ექიმი რეაბილიტოლოგები, მაგრამ არ არსებობდა ბაზა, სადაც ისინი წარმატებით იმუშავებდნენ. ახლა კი დიდ მადლობას ვუხდი „საქართველოს ბანკსა" და „ტეტრისს", რომ შექმნეს ასეთი ბაზა და ასეთი უნიკალური პროექტი განახორციელეს.

*მიხეილ სახვაძე*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## ალკოჰოლისა და თამბაქოს რეკლამის ამკრძალავი ნორმა შესაძლოა, შერბილდეს

დეპუტატი გიორგი გოზალიშვილი სკოლებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან ახლოს ალკოჰოლური და თამბაქოს პროდუქციის რეკლამის ამკრძალავი ნორმის შერბილებას ითხოვს.

„რეკლამის შესახებ“ კანონით აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში, აგრეთვე, მათგან 100 მეტრის რადიუსში. საკანონმდებლო ცვლილებით, ასეთი დაწესებულებების მიმდებარე ობიექტებს შიდა პერიმეტრზე ალკოჰოლური და თამბაქოს პროდუქციის რეკლამირების უფლება ექნებათ.

„შეიქმნა სიტუაცია, რომ რესტორნებს, მაღაზიებს ალკოჰოლური და თამბაქოს პროდუქციის თაროზე, სპეციალურ კარადებში გამოფენის უფლებაც კი არა აქვთ. მათ პრაქტიკულად საშუალება არ აქვთ, მომხმარებელს შიგნით, შენობაში შესთავაზონ რამდენიმე ასორტიმენტის სპირტიანი სასმელი. ვთვლი, რომ მაღაზიებს უნდა შეეძლოთ შენობის შიდა ტერიტორიაზე კარადის დადგმა და ასეთი პროდუქციის გამოფენა. ასევე, როცა რომელიმე ფირმას სურს რესტორნისა თუ მაღაზიის შიდა ტერიტორიაზე რაიმე აქცია ჩაატაროს, ამის უფლება არ აქვს, თუკი დაწესებულება 100 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული. კანონი აღნიშნული პროდუქციის მოზარდებისთვის მიყიდვას ისედაც კრძალავს და შესაბამისად, მოზარდების დაცვითი მექანიზმები არსებობს“, – განმარტავს გოზალიშვილი. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ახანგრძლივებენ სკოლებში სასწავლო პროცესს?

განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის განცხადებით, სკოლებში სასწავლო პროცესი შესაძლოა, გახანგრძლივდეს. „სასწავლო პროცესის გახანგრძლივება არ ეხება მხოლოდ დაწყებით კლასებს, ეს არის საერთო პრობლემა, იმიტომ, რომ საქართველოში ყველაზე უფრო მოკლე აკადემიური წელია და ყველაზე უფრო დატვირთული, შესაბამისად, საათობრივი ბადის გადახედვა მოხდება და ცვლილებები ამ კუთხითაც იგეგმება“, – განაცხადა სანიკიძემ, თუმცა



მინისტრს არ დაუსახელებია ვადა, რა ხნით შეიძლება, ეს პროცესი გახანგრძლივდეს. მისი თქმით, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

საერთოდ, ჩემი დაკვირვებით, სამინისტრო მხოლოდ ნახევარფაბრიკატ სიახლეებს გვამცნობს, ანუ, ისეთ თემებს, რომლებიც იდეის დონეზეა და სამინისტროდან მხოლოდ ზოგადად შეუძლიათ პასუხის გაცემა.

**ამიტომ გადავწყვიტეთ, კომენტარისთვის განათლების საკითხებში ექსპერტ მანანა ნიკოლაიშვილისთვის მიგვემართა:**

– ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება მშვენიერია. რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში ხდება ის, რომ არსებობს ასეთი მოკლე 34-კვირიანი სასწავლო წელი. ახლა გეტყვით, რის ხარჯზე შეიძლება ამ ვადის გახანგრძლივება: წინ ვერ წაწევენ ვადას, ვგულისხმობ, რომ, 15 ივნისს რომ მთავრდება სწავლა, წინ ვერ გადასწევენ, იმიტომ რომ საქართველოში მაგ პერიოდში მაღალი ტემპერატურა იწყება და სკოლები კეთილმოწყობილი არ არის საამისოდ. ამ შემთხვევაში კონდიცირებული უნდა იყოს ყველა საჯარო სკოლა, რაც არ არსებობს. ამიტომ სწავლა უნდა დაიწყოს 1-ელ სექტემბერს და, თუ 15 ივნისს შეწყდა სწავლა, გამოდის 36 კვირა, მაგრამ ივნისში გადასული სწავლა არ ვარგა, ამიტომ, ოპტიმალური ვარიანტია, ამის ნაცვლად ზამთრის არდადეგებს მოაკლდეს ორი კვირა და ეს დაემატოს ამ ვადას.

**— გამოდის, ასე თუ წავედით, მაისის ბოლოს დამთავრდება სწავლა, როგორც იყო ჩვენს ბავშვობაში?**

– კი, ანუ 1-ელ სექტემბერს დაიწყება და დასრულდება 25 მაისს მაღალ კლასებში და 20 მაისს დაბალ კლასებში. და ნახეთ, 25-ში რომ შეწყდება სწავლა, ოთხი დღის შემდეგ 29-ში იქნება გამოცდა და მორჩა, მაისის ბოლოს ბავშვი მთლიანად თავისუფალი უნდა იყოს სკოლისგან. ზაფხულში საქართველოში არ შეიძლება სწავლა, ის სამი თვე ბავშვმა უნდა დაისვენოს.

**— ასე რომ იყო შემცირებული ვადა, ბავშვები ასწრებდნენ სწავლას?**

– რას ასწრებდნენ, რას ლაპარაკობთ? იმიტომ არის ასეთი დაბალი განათლების ხარისხი. ანუ, სააკაშვილის დროს ბავშვთა რაოდენობამ ჯგუფებში რომ მოიმატა, ასევე რამდენიმე საგანზე რომ იყოფოდა კლასები და შემდეგ ესეც რომ აიკრძალა, პლუს, სასწავლო კვირების რაოდენობა რომ შემცირდა, ამან გამოიწვია განათლების დონის ძირეული ვარდნა. კიდევ ბევრი სხვა მიზეზია, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს სამი მიზეზი იყო, რამაც გამოიწვია სწავლის დონის დაწევა საქართველოში. რადგანაც, რა კარგი წიგნებიც არ უნდა გქონდეთ, რა კარგადაც არ უნდა შეცვალოთ სტანდარტები და საგნობრივი პროგრამები, თუ დრო არ გექნა საკმარისი, რომ ეს პროგრამა გაიარო, რა აზრი აქვს რამეს?

**— რის შესაძლებლობას იძლევა ეს დრო, ეს ორი კვირა კონკრეტულად?**

– გამეორების. ჩვენ როცა მეოთხე მეოთხედში ვსწავლობდით, რა ხდებოდა ამ დროს? გამეორება სასწავლო პროგრამის. ვიმეორებ, დროის გახანგრძლივება მისასალმებელია. მაგრამ დროის გახანგრძლივება არ იქნება ეფექტური, თუ ის 15 ივნისი დარჩა თავის ადგილას. ვიმეორებ, ამ თვეში უკვე მეცადინეობა არ არის ეფექტური, მასწავლებლებს სცხელათ, ბავშვებს სცხელათ და ამის გამო სკოლაში აქამდე სასწავლო რეჟიმი სრულიად მოშლილი იყო. არ ტარდებოდა არაფერი. ის კი არა, როცა ნორმალური სწავლა იყო ჩვენს ქვეყანაში, მაშინაც კი, ათი, თხუთმეტი მაისიდან ძალიან რთული იყო გაკვეთილზე ბავშვების დამაგრება. მინისტრის სიტყვით, საათობრივი ბადის გადახედვაც მოხდებაო და ესეც გასაგებია, რადგანაც ეს ყველაფერი ერთმანეთზე მიბმულია. ეს ორი კვირა რომ დაემატება, საათობრივ ბადეში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება და ახლავე ვიტყვი, რომ მასწავლებლების ხელფასებში ეს ცვლილებები არ აისახება, მაგრამ საათობრივი მდგომარეობა უკეთესი გახდება.

**— მაინტერესებს, ეს ცვლილებები თქვენ თავის დროზე „ოცნების“ სარეკომენდაციო პროგრამაში თუ ჩაწერეთ?**

– საათების გაზრდა ჩაწერილი გვქონდა. ესენი მაგათი პროგრამით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ეტყობა, ახლა დაიწყეს ამის შესრულება. ეს პროგრამა თავის დროზე „ოცნებამაც“ და კოალიციამაც მოიწონა. ჩვენი კომისიის მუშაობას პოლიტიკოსებიც ესწრებოდნენ, რადგანაც ეს პროგრამა ჩვენთვის ხომ არ დაგვიწერია? პროგრამა მათ მიერ არის მოწონებული და ამას ახლაც ვხედავთ. რასაც ვუყურებ, სასიხარულო ცვლილებები ხდება სამინისტროში, ამაზე მეტყველებს იგივე კლასებში ბავშვების რაოდენობის შემცირება და ახლა დღევანდელი ინფორმაცია. ისიც კარგი ამბავია, „ნაციონალების“ დირექტორები ბევრი რომ ჩაიჭრა. ეს დღევანდელ თემას არ ეხება, მაგრამ ეგ დირექტორები მონაწილეობდნენ იმ საარჩევნო გაყალბებებში, რაც ხდებოდა, ასევე მასწავლებლების დატერორებაშიც.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კომუნიკაციების კომისია სუბტიტრირებით ფილმების ჩვენებას ამცირებს




საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს, რათა საქართველოს არასახელმწიფო ენაზე წარმოებული მხატვრული ფილმების სუბტიტრირებით განთავსების პროცენტულ მაჩვენებელს გადახედოს.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით მიღებული კომისიის დადგენილების დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, ყველა მაუწყებელი და ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმები საკუთარ სამაუწყებლო ბადეში განათავსოს პირველადი წარმოების ენაზე საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირებით.

დადგენილების თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია მის ეთერში განთავსებული არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმების 30% იყოს სუბტიტრირებული.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანია, ეს ვალდებულება შემცირდეს 10%-მდე და ტელეკომპანიებს საკუთარ სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმების მხოლოდ 10%-ის განთავსების ვალდებულება ჰქონდეთ საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირებით.

„რადგან კომისიამ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე ტელეკომპანიების წერილობითი გამოკითხვა ჩაატარა და მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ რაოდენობით სუბტიტრირებული ფილმები მათ რეიტინგებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს (განსაკუთრებით რეგიონებში), საკითხის განხილვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით წარიმართება და ყველა დაინტერესებულ პირს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცემა“, – აცხადებენ კომისიაში. (ინტერპრესნიუსი)

## კოსტავაზე ქუჩაზე სამი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა



კოსტავას ქუჩაზე, საზოგადოებრივ მაუწყებელთან, სამი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. მძღოლებს მნიშვნელოვანი დაზიანება არ მიუღიათ, თუმცა ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლის ჰოსპიტალში გადაყვანა გახდა საჭირო. ერთმანეთს „ტოიტას“ მარკის და ორი „ოპელის“ მარკის ავტომანქანა შეეჯახა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# ექსკლუზივი

# ელიავაზე მეწარმე ინფარქტით გარდაიცვალა

## რამდენად რეალური იყო შემოსავლების სამსახურის ჯარიმა?

რომ გითხრათ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქმე გამოსწორდა და ყველაფერი აჟურშია-მეთქი, დამიჯერებთ? შემოსავლების სამსახურის მუშაობაზე რაც „ალიას“ უწერია, წერა ისეთი უნდა, მაგრამ ეს მიშას დროს იყო, ახლა რა ხდება? რა და ახლაც იგივე გრძელდება, რაც მაშინ ხდებოდა. ელიავას ბაზრობაზე არაერთი აქცია გამართულა, ყაჩაღებივით გვატყავებენ და უკანონო გადასახადებს გვარიცხავენო. ამ წაგლეჯილი ფულით ხალხისთვის რამე სასიკეთო რომ კეთდებოდეს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ყველა ვხედავთ, რომ სავარძლებში მოკალათებული ჩინოვნიკები კარგადაც ჭამენ, კარგადაც სვამენ, მივლინებებში ათასებს ხარჯავენ, ერთი ადგილის უბრალო მანქანაში ჩადებას აღარ კადრულობენ და მხოლოდ დაბურულმინებიანი ჯიპები უნდათ, ის ჯიპები, საიდანაც გამწარებული და გაუბედურებული ხალხის სახეები კარგად არც ჩანს. კი, ნამდვილად არსებობს სახელმწიფო და კანონი, მაგრამ ამ კანონების შესრულება მარტო ჩვენ, უბრალო მოკვდავთ არ გვავალია, მათაც ეხებათ!

ეს წერილი რომ დაიბეჭდება, ელიავას ბაზრობის მოვაჭრე გურამ სხულუხია ჯერ არ იქნება დაკრძალული. როგორც ამბობენ, მაღაზიის შემოწმების მიზნით აქ შესულმა შემოსავლების სამსახურმა მას ხარვეზები აღმოუჩინა და ისეთი თანხა მოითხოვა, რომ დიაბეტით დაავადებული კაცის ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო და ინფარქტით გარდაიცვალა.

ელიავაზე, ხოშარაულის ასახვევში განლაგებულ მაღაზიებში მომუშავე მარტვილელი მამა-შვილის, გია და გურამ სხულუხიების ოთხი მაღაზია მესამე დღეა დაკეტილია. სხულუხიები სამანქანო ზეთებით ვაჭრობდნენ.



იმ ამბავზე, რაც მოხდა, ყველას თავისი ინფორმაცია აქვს, მაგრამ აზრი ერთია: გურამ სხულუხიას ყველა კარგად იხსენებს და მასთან ერთად ყველა, ასევე, ახსენებს ერთ ფრაზას: „საშემოსავლოს შემოწმება“.

გარეთ გამოსულ მოვაჭრეებს სადაც დავინახავ, ჯერ ზეთებზე ველაპარაკები, მერე გაკვრით ვკითხულობ გარდაცვალების მიზეზს.

**(შავქუდიანი კაცი):**

– რა კაი კაცი იყო, იცით? მაგათთან ყიდულობდით ზეთს? ეგენი არ იქნებიან შემდეგ ოთხშაბათამდე, მარტვილში გადაასვენეს გურამი. აქ რომ იდგა, უცებ გარდაიცვალა, 61 წლისა, შაქარი ჰქონდა და ვერ გაუძლო.

**— რას ვერ გაუძლო?**

– ასე ამბობენ, ინვენტარიზაცია ჩაუტარდა მაგის მაღაზიებს და საწყობს და რა ვიცი, ინერვიულა. შაქარი აუვარდა ზევით. გუშინ კი არ შესულა ეგ ფინანსური, დიდი ხანია არიან მაგასთან.

**— უპოვეს რამე?**

– რა ვიცი, ამბობენ, რომ კიო. არ ვიცი მე არაფერი, ისე, მართალი კაცი იყო ცხონებული.

ვაგრძელებ გზას. კიდევ ერთ ჯგუფს ვუახლოვდები. საუბარი ისევ გურამ სხულუხიაზეა აქაც.

**(ჯინსიანი კაცი):**

– მაგას ჰქონდა გადასახდელი ფული და ისეთი ფული უნდა გითხრან, რომ შესწვდე, ციდან ნათქვამი კი არ უნდა იყოს? უნდა შეგეძლოს გადახდა კაცს.

**— ჰქონდა დარღვევა?**

– აქ, ქალბატონო, თუ მოინდომეს, გიპოვიან, მაგაზე ვამბობთ, მაგრამ უნდა გითხრან ისეთი თანხა, რომ შეგეძლოს გადახდა, მაგაზე ვლაპარაკობთ ეს ხალხი. ჯერ საგადასახადო შეუვიდა, მერე იმას ვიღაცა მოჰყვა და აირია სიტუაცია. დილით მოვიდა, აქ იტრიალა, მერე წავიდა და ცოცხალი აღარც გვინახავს.

**— აქ, ბაზრობაზე გარდაიცვალა?**

– კი, ცუდად გამხდარა, იქცეოდა თურმე და ხელი შეუშველებიათ, რომ არ დავარდნილიყო მიწაზე. სასწრაფოც მოვიდა თურმე, მაგრამ იმხელა შაქარი ჰქონდა, ვერ გაუზომა თურმე სასწრაფომ.

**აქ საუბარში ერთი მამაკაცი გვერთვება:**

– გული გაუსკდებოდა, აბა, რაა, 160 000 გადაიხადეო, ეგრე უთქვამთ!

**— რამდენი? და რა დარღვევა ჰქონდა ამისთანა? ეს ამხელა თანხა — 160000 საიდან მოიტანეს?**

– ეგ მერაბიშვილის ხალხთან მეგობრობდა და ახალმა მთავრობამ მაგიტომ დააჯარიმა. ასე იძახიან. ესაა ახალი მთავრობა? მოკლეს კაცი.

– (აჩუმებენ დანარჩენები) ვინ მერაბიშვილის ხალხთან? შენ დებილობას რომ გეტყვიან, კი არ უნდა გაიმეორო? რომელ მერაბიშვილის ხალხს უნდა ჩვენი ზეთები? ჯარიმა, კი, დიდი დააკისრეს და გაუხეთქეს გული.

**— ის საფინანსო თქვენც გამოწმებთ?**

– ყველგან არის, კი. თუ რამე დაარღვიე არავინ გაპატიებს. ეგ ეგრე უნდა იყოს, მაგრამ მაგხელა ფული? გურამას ეგ ძალით „გაუჩალიჩეს“. მაგას კიდევ აქვს ერთი მაღაზია, ახალი აღებული აქვს, იქ მისულა და წაქცეულა. მიიღო მერე ინფარქტი და აღარ არის კაცი. აქედან ცოცხალი კი წაუყვანიათ, მაგრამ ვერ გაუძლო. საწყობის ინვენტარიზაცია ჩაუტარეს თურმე, საბუთებში უნახეს გადაცდომა და 40 000 ლარის გარღვევააო, ესე უთქვამთ, მაგრამ 120000 გამოუწერეს. ჩეკი მოუვიდა გადასახდელად ამხელა ფულზე, ეს იყო თურმე 2 კვირის წინ, ასე ამბობენ.

**„ალია“ გია სხულუხიას, გარდაცვლილის ვაჟს ესაუბრა:**

**— მაპატიეთ, ასეთ დროს რომ გირეკავთ, მაგრამ საქმის გარკვევა მინდა და, თუ შეიძლება, დამელაპარაკეთ.**

– მამაჩემი გარდაიცვალა ნერვიულობის ნიადაგზე. რა გითხრათ, არ ვიცი. საგადასახადო კაი ხანია შემოვიდა ჩვენთან, ალბათ, ხუთი-ექვსი თვეა. დარღვევები ნამდვილად იყო ცოტ-ცოტა. ინვენტარიზაცია ჩამიტარეს და იმხელა საურავები დამადეს, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ვერ გადავიხდი.

**— რამდენი გაქვთ გადასახადი?**

– სიტყვიერად მითხრეს, ბრძანება არ დაწერილა ამის შესახებ, მაგრამ რაც თქვეს, ეს არის 131 000 ლარი.

**— ამხელა თანხის რა დარღვევა გქონდათ?**

– რა ვთქვა, არ ვიცი. დარღვევები გვქონდა, ვიმეორებ, მაგრამ ძალიან ინერვიულა და ამის ნიადაგზე...

**— სიტყვიერად ვინ გითხრათ ამ თანხაზე?**

– არ ვიცი, მე არ ვერკვევი მაგაში. მაპატიეთ, არ შემიძლია ლაპარაკი.

**გვინდოდა კომენტარის აღება ფინანსთა სამინისტროსგან, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ტელეფონი გამორთული დაგვხვდა. საინტერესოა, რა პასუხი ექნებოდათ მათ?**

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## ბათუმის სამშობიაროში გარდაცვლილი ქალის საქმეს პროკურატურა იძიებს

ბათუმის სამშობიარო სახლში გარდაცვლილი მზევინარ შაინიძის საქმეს პროკურატურა იძიებს. პროკურატურის პრესსამსახურის განცხადებით, ძიება მიმდინარეობს 116-ე მუხლით – „სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით“. პროკურატურის ინფორმაციით, მოწმეები დაიკითხნენ და გამოძიება ექსპერტიზის პასუხებს ელოდება.

სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ლევან ბეჟანიძე აცხადებს, რომ საკითხს სწავლობს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოც. მისივე თქმით, გამოძიების დასრულებისა და ექსპერტიზის დასკვნის დადებამდე ექიმის ბრალეულობაზე საუბარი გამორიცხულია.

„ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა ბათუმის სამშობიარო სახლში. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ოჯახს ამ დიდ დანაკარგს. დაწყებულია გამოძიება, როგორც საგამოძიებო ორგანოებში ასევე, ჩვენთან იყვნენ ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლები. შეისწავლეს შემთხვევა, შეისწავლეს ისტორია მთლიანად და ველოდებით პასუხებს“, – აღნიშნა ბეჟანიძემ.

29 წლის მზევინარ შაინიძე ბათუმის სამშობიარო სახლში საკეისრო კვეთის შემდეგ 25 იანვარს გარდაიცვალა. მზევინარ შაინიძის მეუღლე მერაბ დიასამიძე ექიმებს უყურადღებობასა და არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებს.

„არ ეპატიებათ ეს დანაშაული, მკვლელობა. აქ არ არიან ექიმები, აქ მკვლელები არიან. ჩემს მეუღლეს არაფერი არ აწუხებდა. ცხრა თვის განმავლობაში ამავე საავადმყოფოში კონსულტაციებზე დადიოდა, რვა თვემდე სამსახურში მუშაობდა და პრობლემები არ ჰქონია. ოპერაციის შემდეგ გვითხრეს, რომ ყველაფერი კარგად იყო. დილით კი გარდაიცვალა. მაქვს ბევრი შეკითხვა, მთელი ღამის განმავლობაში თუ ნახა ვინმემ, როგორ იყო, რატომ მატყუებდნენ, ცოცხალიაო, მაშინ, როცა უკვე გარდაცვლილი იყო, რატომ გახდა მეორე ოპერაცია საჭირო და ნახევრად გარდაცვლილს ოპერაცია რატომ გაუკეთეს?“, – აღნიშნა დიასამიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## კვების ობიექტების შემოწმება იგეგმება

უახლოესი 3 თვის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, სკოლების 500-მდე კვების ბლოკის (ბუფეტის) შემოწმება იგეგმება. სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიას თქმით, ინსპექტირების რაოდენობამ შეადგინა სამჯერ მეტი, ხოლო საჯარიმო სანქციების რაოდენობამ შვიდჯერ მეტი, ვიდრე წინა სამწლიან პერიოდში. მინისტრის ინფორმაციით, სურსათის ეროვნულ სააგენტოში რეორგანიზაცია მიმდინარეობს. სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მასშტაბით ოთხჯერ იზრდება ინსპექტორების რაოდენობა. უახლოესი 3 თვის განმავლობაში დაგეგმილია, შემოწმდეს სკოლების 500-მდე კვების ბლოკი, 80 სასაკლაო, 16 აგრარული ბაზარი, 20 საზოგადოებრივი კვების ობიექტი (მათ შორის საშაურმეები), რძის გადამამუშავებელი 40 კომპანია, ასევე ხორცისა და ხორცპროდუქტების სარეალიზაციო 16 ობიექტი. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# კულუარები

**როგორც ჩანს, „რესპუბლიკელებს“ ყურადღებით წაუკითხავთ „კვირის ქრონიკის“ 2013 წლის 46-ე ნომერი, სადაც აჭარის მთავრობის მეთაურის, არჩილ ხაბაძის „კაიკაცობებზე“ ბევრი რამ წერია. მათ შორის, როგორ ლობირებს „ნაციონალებს“, როგორ ნიშნავს თანამდებობებზე არა პროფესიონალიზმის ნიშნით, არამედ ნაცნობ-მეგობრობით, როგორ აპირებდა იგი ბიძინა ივანიშვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლას, როგორ იგებენ დღესაც ტენდერებს „ნაციონალების“ კონტროლირებადი კომპანიები და ა.შ. ამ თემაზე ვრცლად ქვემოთ წაიკითხავთ, მანამდე კი, იმის შესახებ, რა ხდება „რესპუბლიკელებში“.**



# ვის დაუჭერს მხარს ივანიშვილი, „რესპუბლიკელებს“ თუ არჩილ ხაბაძეს?

ამ დღეებში „რესპუბლიკელებმა“ შიდაპარტიული „სხადნიაკი“ გამართეს, სადაც საუბარი იყო თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელახალ არჩევაზე. მანამდე ამ თანამდებობას თბილისის საკრებულოს წევრი, გულიკო ზუმბაძე იკავებდა, მაგრამ მოულოდნელად კენჭისყრაში სხვამ გაიმარჯვა, რომლის ვინაობასაც „რესპუბლიკელები“ საგულდაგულოდ მალავენ. კრებაზე გადაწყდა, რომ დედაქალაქის ორგანიზაციის შეფად ისევ ქალბატონი გულიკო დატოვონ, ხოლო არჩევნების შედეგები გააუქმონ. ამის შესახებ დირექტივა უკვე გაცემულია პარტიაში და ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვინც კრებას ესწრებოდა, სასტიკად აეკრძალა ამ თემაზე ლაპარაკი.

მოკლედ, „რესპუბლიკელები“ მაგრად აქტიურდებიან მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და მათ შორის, „ნაციონალებთან“ ერთად აჭარაშიც (მოგეხსენებათ, აჭარა ბერძენიშვილების დედასამშობლოა). ბათუმის მერმა, ჯემალ ანანიძემ უკვე დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე. სხვათა შორის, „ნაციონალებმა“ თავიანთი სავარაუდო კანდიდატები უკვე დაასახელეს – ესენი არიან: რობერტ ჩხაიძე, ირაკლი თავართქილაძე (ორივე ყოფილი მერია „ნაცების“ მმართველობის პერიოდში) და ლევან ვარშალომიძე. აი, ეს მოიტანა ყბადაღებულმა კოჰაბიტაციამ, ადამიანებს, რომლებიც მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ, დღეს უკვე მერის თანამდებობაზე აქვთ პრეტენზია. მე არ ვიცი, ამათგან ვის რა შანსი აქვს, მაგრამ თავად ფაქტია დამაფიქრებელი.

რაც შეეხება კოალიციას, ამ მხრივ, იქ ჯერ გაურკვევლობაა, „რესპუბლიკურ“ ფრთას თავისი კანდიდატის გაყვანა უნდა, „ქართულ ოცნებას“ – თავისი, ირაკლი ალასანიას – თავისი, ხოლო (არ დაიჯერებთ) აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ავთო ბერიძეს – თავისი. აღარაფერს ვამბობ მურმან დუმბაძესა და არჩილ ხაბაძეზე. როგორც ხედავთ, ამ პატარა აჭარას იმდენი დაინტერესებული პირი ჰყავს შესეული, უკვე დათვლაც კი ჭირს. ერთი ცხადია, ბათუმის „ასაღებად“ კულუარებში მიდის ძალიან დიდი ბრძოლა. სამწუხაროა, რომ „რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“ აქტიურობის ფონზე „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, „მოქნეულია“ (ამ ორ ძალას უკავია დღეს თანამდებობები აჭარაში), თუ ახლა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა არ ივაჟკაცა, არ არის გამორიცხული, ეს პარტია თამაშგარე მდგომარეობაში დატოვონ. მაგალითად, აჭარის უმაღლესი საბჭო მთლიანად „რესპებისაა“, ასევე, განათლებისა და კულტურის სამინისტროები.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, წინა კვირას ირაკლი ღარიბაშვილი თბილისში აჭარის სახელისუფლებო დელეგაციას შეხვდა, რომელსაც, მთავრობის თავმჯდომარე, არჩილ ხაბაძე არ ესწრებოდა.

როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას“, ამით ისარგებლა ავთო ბერიძემ და თურმე დაიწყო არჩილ ხაბაძის „ჩაშვება“, ერთ-ერთი ვერსიით, „რესპუბლიკელების“ დავალებით – ეგ კაცი საერთოდ გასაშვებია თანამდებობიდან, სუსტია, ვერ მუშაობსო. ღარიბაშვილს მაშინვე მიუნიშნებია, არ დაგავიწყდეს, რომ შენც გასაშვები ხარო. ამ შემთხვევაში ირაკლი ღარიბაშვილი 100-პროცენტიანია... დავუშვათ, ხაბაძე გადააყენა და დარჩა ავთანდილ ბერიძე თანამდებობაზე, ამ უკანასკნელს აღარ ექნება უსაზღვროდ გაზრდილი მადა? გარდა ამისა, რაც მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა, სულ სხვანაირი ხასიათი გამოავლინა – მას მხოლოდ ქოლგითა და მარაოთი კი არ უნდა დასდევდნენ „მოსამსახურეები“, ან მხოლოდ ლიფტს და კაბინეტის კარს კი არ უნდა ულებდეს ვინმე, არამედ აჭარის მთელმა მთავრობამ მის დაკრულზე უნდა იცეკვოს, დაწყებული ხაბაძით, დამთავრებული – დამლაგებლით.

ბოლოს და ბოლოს, ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ხაბაძის და ბერიძის დაპირისპირება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების დაპირისპირებაში გადაიზარდა. მაგალითად, როდესაც რიგითი ადამიანები მიდიან უმაღლეს საბჭოში და დეპუტატებს დახმარებას სთხოვენ, ერთსა და იმავე პასუხს იღებენ: ჩვენ არაფერი გვეხება, თუ რამე არ კეთდება, მთავრობის ბრალია, არჩილ ხაბაძეს მიაკითხეთო. გამოდის, აჭარის უმაღლესი საბჭო ანტისამთავრობო საბოტაჟს ეწევა. რაც მთავარია, ამ დაპირისპირებით სარგებლობენ „ნაციონალები“ და ყველაფერს მივყავართ ისევ ხალხის გაღიზიანებამდე.

როგორც ამბობენ, ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრისას კარგად დატუქსა აჭარის დეპუტაცია, მაგრამ არა მგონია, ავთო ბერიძეს ამან უშველოს. კულუარებში იმასაც ამტკიცებენ, რომ თითქმის უკვე გადაწყვეტილია არჩილ ხაბაძისა და ავთო ბერიძის გადაყენება. ამ უკანასკნელს აქამდეც გადააყენებდნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, ის არჩევითი ორგანოს ხელმძღვანელია და ამიტომ თავად უნდა დაწეროს განცხადება წასვლის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სიტუაცია დამანგრევლად იმოქმედებს როგორც კოალიციის, ასევე „ქართული ოცნების“ რეიტინგზე და მივიღებთ კატასტროფულ შედეგებს, რადგან „ნაციონალები“ ამასაც საპიაროდ გამოიყენებენ და იტყვიან, ხომ ხედავთ, ეს ხელისუფლება მხოლოდ ოპოზიციას კი არ ებრძვის, საკუთარ წევრებსაც დაერივნენ და ამათი იმედი როგორ უნდა გქონდეთო. რაც უფრო მოახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მით უფრო მეტად დაიძაბება სიტუაცია და ბატონი ავთო ბერიძეც, ალბათ, უფრო აგრესიული გახდება მთავრობის მიმართ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**მოკლედ, იმსახურებს თუ არა მოხსნას არჩილ ხაბაძე, რომელიც პირადად ბიძინა ივანიშვილის კადრია, ამის შესახებ „ქრონიკის“ მასალას მე-12 გვერდზე წაიკითხავთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ინფექციური საავადმყოფო გუდამაყრის №2-ში გადადის



თბილისში, გუდამაყრის №2-ში ინფექციური საავადმყოფოს განსათავსებლად შენობის რეაბილიტაცია დაიწყება. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის დიმიტრი მახათაძის განცხადებით, ინფექციური საავადმყოფოს ამჟამინდელი შენობა, რომელიც ყაზბეგის გამზირზეა, გასხვისებულია. ცენტრი ყაზბეგის გამზირზე ფუნქციონირებისთვის იჯარას იხდის. მისივე თქმით, სამედიცინო დაწესებულებისთვის გამოყოფილ სარეაბილიტაციო შენობაში კი უკანონოდ შეჭრილი 70 ოჯახი იმყოფება.

„შენობის რეაბილიტაციის დაწყება დიდი ხანია, ვერ ხერხდება. არსებობს სარეაბილიტაციო პროექტი, სახელმწიფომ კომპანიის შესარჩევად ტენდერიც გამოაცხადა. თუმცა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება ჭიანურდება, რადგან გუდამაყრის №2-ში უკანონოდ შეჭრილია 70 ოჯახი“, – დასძინა მახათაძემ.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ესენი არიან სხვადასხვა კატეგორიის ოჯახები, დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები. ასევე, ისეთი ადამიანებიც, რომელთაც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სურთ. ამ მომენტისთვის მიმდინარეობს ამ 70 ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესწავლა, ინფორმაციის გადამოწმება საჯარო რეესტრში, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დევნილთა სამინისტროში. შეჯერებული ინფორმაციის მიღების შემდეგ გადაწყდება, რამდენი ოჯახისთვის უნდა მოხდეს ქირის გამოყოფა. ოჯახების გამოსახლების პროცესი, სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან დაიწყება. (ინტერპრესნიუსი)

## შემოსავლების სამსახურმა თანამშრომელი დასაჯა




შემოსავლების სამსახურის თანამშრომელს, გიორგი ბერძენიშვილს ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა. სამსახურის ცნობით, საქმე ეხება ინციდენტს, რომელიც 30 იანვარს, გორის სასამართლოს შენობაში მოხდა. „მოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უბნის ოფიცერთა სამმართველოს უფროსს, გიორგი ბერძენიშვილს დაეკისრა ადმინისტრაციული სასჯელი – 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება. თავად გიორგი ბერძენიშვილის პირადი განცხადების თანახმად, ის გადაყვანილია უფრო დაბალ პოზიციაზე – ამავე სამმართველოს ქვემო ქართლის სექტორის უფროსის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად“, – ნათქვამია განცხადებაში.

რამდენიმე დღის წინ მედიაში გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც აღნიშნულ პირთან დაკავშირებული ინციდენტია ასახული. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

როგორც „ალიამ“ შეიტყო, 13 თებერვალს პროკურატურიდან დათხოვნილი კბილაშვილის კადრები ადამიანის უფლებათა საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველს, თომას ჰამერბერგს შეხვდნენ.

სანამ ამ საკითხზე გადავალთ, მანამდე ერთი ინფორმაცია: მთავარმა პროკურორმა თანამდებობიდან ლაშა ნაცვლიშვილის კადრი, ნინო ბერუაშვილი გაუშვა. როგორც „ალიასთან“ ერთ-ერთი წყარო აცხადებს, ბერუაშვილი იმდენად ყველას სძულდა, ზეიმობენ თურმე.

წყაროსვე ინფორმაციით, ადეიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, ირაკლი ჩილინგარაშვილი, რომელიც მთავარ პროკურატურაში სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, თურმე მარტო ვერ აუდის „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების „გაპრავების“ საქმეს და დასახმარებლად მოიხმო ირაკლი დონდოლაძე, რომელიც მისი ნათესავი და ახლობელია და რომელსაც ადეიშვილის ერთ-ერთ მარჯვენა ხელად მოიხსენიებენ, და მოადგილედ დაინიშნა. ეს ის დონდოლაძეა, რომელმაც საფრანგეთის სასამართლოში, თავისი უსუსურობით თუ შეგნებულად, კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიციის აუცილებლობა ვერ დაასაბუთა და დღეს კეზერაშვილი თავისუფალია. მოკლედ, პროკურორი, რომელმაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმე ჩააგდო, სამსახურიდან გაშვების ნაცვლად დაწინაურდა.

რაც შეეხება ჰამერბერგს, დახურულ შეხვედრას რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა, ამიტომ რესპონდენტი „ალიას“ შეხვედრის დეტალებზე ინკოგნიტოდ ესაუბრა:

**— რაზე ესაუბრეთ ჰამერბერგს, ძირითადი საკითხი რა იყო?**

– ჰამერბერგმა თქვა, ბრიუსელში ცნობის სახით განკარგულებაში საქართველოს პროკურატურა არის მოხსენიებული, როგორც პრობლემატური ინსტიტუტიო. სამართლიანობის აღდგენის საკითხში წამყვანი როლი პროკურატურას უკავია და ყველაზე მეტი პრობლემა ამ უწყებაშიაო.

**— მან დეკემბერშიც ხომ დადო დასკვნა და რეკომენდაციები ამაზე. დეკემბრიდან დღემდე, რომ არაფერი შეცვლილა, ამაზე რეაქცია არ ჰქონდა ჰამერბერგს?**

– რეაქცია, რა თქმა უნდა, ჰქონდა, არ ვიცი, მერამდენედ ჰქონდა საუბარი ამაზე ჩვენს პრემიერთან, მაგრამ პრემიერი რატომღაც არ რეაგირებს ამაზე. სულ არის 22000-23000 საქმე შემოსული სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, რაც არის დადასტურებული და ჰამერბერგი ითხოვს პასუხს ამ საქმეებზე. რატომ არ იქნა გამოძიებული და რა უშლის ხელს? ნაწყენია, პრემიერს რამდენჯერმე ვესაუბრე ამ თემაზე და არ ითვალისწინებსო.

**— ჰამერბერგს შეხვედრა თქვენ სთხოვეთ თუ თვითონ მოისურვა?**

– ჩვენ ვთხოვეთ. მანამდე წერილიც მივწერეთ და შეხვედრა სპონტანურად მოხდა. გვინდოდა, საქმის კურსში ჩაგვეყენებინა, უკანონოდ რომ დაგვითხოვეს და როგორც მთავრობის მრჩეველი, იქნებ სიმართლის პოვნაში დაგვხმარებოდა. პროკურატურაში რაც ხდება, ზოგადად იცოდა, მაგრამ ჩვენ დეტალები მოვუყევით. სხვათა შორის, ეს ის საკითხებია, რაზეც „ალია“ ხშირად წერდა. როგორც ჰამერბერგმა გვითხრა, თავიდან პროკურატურის ამბები რომ გაიგო, მაშინვე წავიდა პრემიერთან შეხვედრაზე და მხოლოდ ამ თემაზე ესაუბრა. ამ შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო. ჰამერბერგი სამართლიანობის აღდგენას მიესალმება, მან დაწერა, რომ პროკურატურა რეალურად სუსტი წერტილია. ის ამ საკითხთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამდა, ისევე როგორც ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. მან თავისი შეშფოთება პრემიერთანაც დააფიქსირა მინიმუმ ორჯერ. ძალიან შესტკივა გული დათხოვნილ პროკურორებთან დაკავშირებით. მათ კიდეც უთხრა, ერთ-ორგვერდიანი მიმართვით მოგვმართეთ და ამას მერე ჩვენ, ჩვენი წყაროებით გავავრცელებთო.

**— ჰამერბერგისთვის რამე კონკრეტული გახდა შეშფოთების საგანი?**

– ყველაზე მძაფრი რეაქცია მისი მხრიდან იყო იმაზე, რომ პროკურატურაში იგივე ხალხია, ისევ ფინანსური პოლიციის ხალხი და არაფერი შეცვლილა. მერე იყო კითხვები, რატომ? ჰამერბერგი სვამდა ამ კითხვას გამუდმებით, პროკურატურაში ისევ ფინანსური პოლიციის ხალხი რატომ მუშაობსო? რატომ ნიშნავს პრემიერი ფინანსური პოლიციიდან ამ ადამიანებსო? მიზეზი მარტივია. შემოსული განცხადებებიდან, რომელიც საჯარო რეესტრში ფიქსირდება, 9250 არის ბიზნესმენების მხრიდან სააკაშვილის პერიოდში ჩუქების ფაქტი, რომელიც იგივე ადამიანების ჩადენილია, ვისაც ევალებათ ახლა გამოძიება, ეს კარგად იცის ჰამერბერგმა.



(COUNCIL OF EUROPE)

# თომას ჰამერბერგი ღარიბაშვილს ბრალს სდებს!

**— სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაჭიანურება არ მოსწონს ჰამერბერგსო, ამბობთ. რამეს აპირებს ამ მიმართულებით?**

– მან თქვა, რომ მათი მხრიდან, რაც შესაძლებელია და რის უფლებასაც მანდატი აძლევს, ყველაფერს გააკეთებენ. მან თქვა, „ამ ყველაფერს ანგარიშში ჩავდებთ, თქვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს დაველაპარაკებით, მაგრამ ამის იქით, ჩვენ არ ვნიშნავთ ამ ხალხს, რომ მოვხსნათო“.

**— სამსახურიდან გაშვებაზე რა გითხრათ, რამეთი დაგეხმარებითო?**

– არა, ერთადერთი ის შემიძლია, თქვენი საკითხიც ანგარიშში ავსახოო.

**— ახალაიასა და მერაბიშვილზე ხომ არ უთქვამს რამე?**

– არა, ამაზე არ იყო საუბარი, უფრო საკადრო საკითხებზე ვისაუბრეთ. უფრო ის კითხვა ჰქონდა, პროკურატურაში ისევ ფინანსურის ხალხი რატომააო. ქვეყნის ხელმძღვანელობას რომ დაელაპარაკება, შეიძლება რამე შეიცვალოს. ვნახოთ.

**იმედია, პრემიერის აპარატი აღნიშნულ პუბლიკაციას გამოეხმაურება და ინფორმაციას მოგვაწვდის რეალობის შესახებ.**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16



## ბურჯანაძის პარტია დაჯარიმებას ასაჩივრებს



„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ პარტიის დაჯარიმების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით:

„12 თებერვალს ჩაგვბარდა სასამართლოს გადაწყვეტილება და მას სასწრაფო წესით გავასაჩივრებთ, ვინაიდან იმ დრაკონული კანონის მიხედვით, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო, ვალდებულები ვართ, ჯარიმა ერთი კვირის განმავლობაში გადავიხადოთ. ამას ემატება ისიც, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაშიც ჯარიმის თანხა უკან არ გვიბრუნდება. სწორედ ამიტომ, შევიტანთ საჩივარს, რომ შემდგომმა ინსტანციამ ის სწრაფად განიხილოს, იქნებ შეცვალოს გადაწყვეტილება და თანხის გადახდა აღარ დაგვჭირდეს. არაფერი შეცვლილა იმ დრაკონულ კანონში, რომელიც მიიღო. სწორედ ამიტომ, ჩვენს პარტიასთან მიმართებაში დღეს იგივე რეალობა დადგა, რაც 1-ელ ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ მიმართ არსებობდა“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ შემოწირულობების დამალვის ფაქტზე ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ იანვრის ბოლოს 65 ათასი ლარით დააჯარიმა. მოსამართლე ილონა თოდუამ გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სარჩელის საფუძველზე მიიღო. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთის მოქალაქეებს შორის მიმოსვლა უფრო ხელმისაწვდომი გახდება



საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთის ვიზების გაცემა 2013 წელს 40%-ით გაიზარდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის მტკიცებით, რუსეთი კვლავაც შეეცდება, რომ საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეებს შორის მიმოსვლა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

„ჩვენ მოქნილად მივუდექით მოქალაქეების კერძო ვიზიტების ვიზების გაფორმებას და დავეხმარეთ ადამიანებს ნათესაური კავშირების შენარჩუნებაში. მომავალში ამ მიმართულებით ძალისხმევას კიდევ უფრო გავააქტიურებთ“. – აცხადებს კარასინი. კარასინის განმარტებით, ნეგატიური ფაქტორები ჯერ კიდევ არსებობს. „ნეგატიურ ფაქტორებს შორის პირველ რიგში, ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არქონაა. ნეგატიურია ის გარემოებაც, რომ ქართული მხარის მოთხოვნით, თბილისში ერთობ შეზღუდულია დიპლომატიური პერსონალის რაოდენობა შვეიცარიის საკონსულოში არსებულ ჩვენს სექციაში“. – დასძენს კარასინი. (ინტერპრესნიუსი)



## ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილება არაზნეობრივი და უკანონოა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, ქუთაისის მერისთვის უფლებამოსილების შეჩერების ფაქტს, ქალაქის მართვის პრეტენზიის მქონე ვიწრო ჯგუფების ინტერესებს უკავშირებს.

დავით ნარმანიას მტკიცებით, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და ზნეობის ჩარჩოებში არ ჯდება.

„ეს გადაწყვეტილება არაზნეობრივი და გაუმართლებელია, ის უპირველეს ყოვლისა, ქალაქსა და მის მოსახლეობას დააზარალებს“. – აცხადებს ნარმანია.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს, შოთა მურღულიას მერის უფლებამოსილება 12 თებერვალს შეუჩერეს. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# პრემიერის მრჩეველს „ნაციონალური“ „ენჯეოების“ ლობირებაში ადანაშაულებენ

## რას პასუხობს „ალიას“ თამარ ჩუგოშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელის, გრიგოლ გაგნიძის განცხადებით, საპატრიარქოს ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟში, პრემიერის მრჩეველი თამარ ჩუგოშვილია ჩართული, რომელიც თავისი გამოსვლებით ცდილობს, ხელისუფლება, საპატრიარქო, ეკლესიის მრევლი და საზოგადოების ნაწილი დააპირისპიროს.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით „ალია“ გრიგოლ გაგნიძეს ესაუბრა:**

**— ბატონო გრიგოლ, პირად საუბარში მითხარით, ჩუგოშვილი საზოგადოების ეკლესიასთან დაპირისპირებას ცდილობსო. კონკრეტულად რაში სდებთ ბრალს?**

— ორი განცხადება ჩავაბარე პრემიერის კანცელარიას, ერთი ბიძინას პრემიერობის დროს, მეორე ახლა, ორი თვის წინ. პასუხი არ მომწერეს. საქმე ეხებოდა წერილობით თხოვნას იმაზე, რაზეც ზეპირად მივმართე უკვე ჩუგოშვილს. არასამთავრობოების გაფართოებულ სხდომაზე მას ვთხოვე, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა გვინდა ოპონირებაში შესვლისთვის.



**— თქვენ მითხარით, რომ „ნაციონალებისგან“ იმართებიან ის არასამთავრობოები, რომლებსაც ჩუგოშვილმა პრემიერის კარზე გზა გაუხსნა. რას გულისხმობთ და რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ჯერ ერთი, ჩუგოშვილის ქმარი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო წლების მანძილზე, მეორეც, ბევრი რამ არის იმის დამადასტურებელი, რომ ჩუგოშვილი „ნაციონალების“ არასამთავრობოებს არეალი და ჩართულობა უნდა გაიზარდოსო, რატომ არ უწყობთ ხელს-მეთქი? მან განმიცხადა, მაგას მე ვწყვეტ, რომელი ორგანიზაციები იქნებიან მიწვეულები და ჩართულებიო. ამავე დროს ევროკავშირის წარმომადგენელს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, თომას ჰამერბერგს და ევროკავშირის წარმომადგენელს ქალბატონ ევა პასტრანას რა რჩევები უნდა მისცეს, მე არ მესმის, როცა აგერ ორ ნაბიჯზე არღვევს არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებებს. იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, ჩართული იყვნენ ზემოხსენებულ აქტივობებში, რაც ორგანიზაციის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ის ჩვენს იგნორირებას ახერხებს. ბოლო ცხრა წლის მანძილზე ეს „ენჯეოები“ დაკავებულები იყვნენ არჩევნების „გაპრავებით“, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამების ლობირებით. ამ ორგანიზაციებს, ამხელა დაფინანსების მქონეებს, ამხელა რეიტინგის მქონეებს, როგორ გამორჩათ პატიმრების წამების ფაქტები, რატომ არ აჟიტირებდნენ, ახლა რომ ბუზს სპილოდ ხდიან? იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების წინააღმდეგ არ უნდოდათ წასვლა, ან იცოდნენ და დამალეს, ესეც დანაშაულია. ან პატიმრები არ ენდობოდნენ და არ თანამშრომლობდნენ, ესეც ცუდია მათთვის. გავიხსენოთ, სააკაშვილმა ცესკოს თავმჯდომარის არჩევის დროს ნდობა გამოუცხადა ზევმოხსენებულ სამ ორგანიზაციას, რომ მათ წარმოედგინათ კანდიდატურა ცესკოს თავჯდომარეობაზე. ჩუგოშვილი არ არის იმ თანამდებობის ღირსი, სადაც ზის. მისი ადგილი „იდენტობაშია“. საია-ს კადრები გაიშალა, ვფიქრობთ, მისი რეკომენდაციით არის დაწინაურებული სახალხო დამცველის აპარატში ნათია კაციტაძე, პარლამენტის დეპუტატი თამარ კორძაია, გაეროს ოფისში თამარ ხიდაშელი.

**— რომ ითხოვდით საბჭოში ჩართვას, რეკომენდაციები არ წარუდგინეთ ჩუგოშვილს? კონკრეტულად რა დაიწუნა?**

— არ მიმიწვიეს, რომ აზრი გამომეთქვა, განიხილეს ადამიანის უფლებების განვითარების 2014-2018 წლის სტრატეგიული მიმართულებები. რატომ არ მიგვიწვიეს? გავეცნობოდით როგორც ყველა სხვა 70 კაცი და რეკომენდაციებსაც შევიმუშავებდით. ასე გვერდზე თუ გაგვწია, როდის რას გავეცნობით, ვერ გავიგე. მაგან ხელი უნდა შეუწყოს არასამთავრობო სექტორის განვითარებას თუ ხელი უნდა შეუშალოს, ვერ გავიგე.



თამარ ჩუგოშვილი

**— რაც შეეხება არასამთავრობოებისგან პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობას? თქვენ ამბობთ, ამას ჩუგოშვილი აღრმავებსო, როგორ?**

— დავიწყოთ იმით, რომ „ნაცები“ ვერ პატიობენ საპატრიარქოს 2012 წლის არჩევნების დროს მხარდაჭერაზე უარის თქმას. მათი გარკვეული აქტივი „ენჯეოებში“ გადავიდა და იქ გააქტიურდა. ე.წ. იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს მათ და ცდილობენ ხან ეკლესიიდან, ხან გარედან დააპირისპირონ ათასი ავანტიურული ხრიკებით საზოგადოება, ხელისუფლება და ხალხი. სურთ, რომ ხალხს გული აუცრუვდეს მთავრობაზე. აი, ხომ ხედავთ, სამართლიანობის აღდგენის თავიც არ აქვთ და მეტიც, ეკლესიასაც ებრძვიანო. პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებული ვართ, რომ არანაირად არ უწყებათაშორის საბჭოში-მეთქი, უარი არ უთქვამს საჯაროდ, უცხოების თვალში, ერთიერთზე კი უარი მითხრა, განცხადებებზე წერილობითი პასუხიც არ გაუცია. აი, ასე სცხებს ჩუგოშვილი ჩირქს პრემიერის აპარატს.

**— ის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს სხვა ორგანიზაციებსო, ამბობთ, კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— იკვეთება კონტურები, რომ ის აშკარად მფარველობს საია-ს, რადგან ის მათი კადრია, მისი კადრები ბევრგან არიან. ის მფარველობს საია-ს ორბიტაზე მოტრიალე ორგანიზაციებს. პატრიარქის თემა ერთია და ჩვენს ორგანიზაციას რომ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს, ესეც მთავარი არგუმენტია მაგასთან უხსნის გზას. მაგალითად, ის, რომ, რასაც „ნაცები“ იძახიან, იგივეს იმეორებენ ეს არასამთავრობოები, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ – ნინო ლომჯარია; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ეკა გიგაური. პრეზიდენტის შეწყალების კომისიაშიც იგივე ძველი ორგანიზაციებია, რომელია ახალი? პრემიერის უწყებათაშორის კომისიებში ესენი არიან, ასევე არასამთავრობოების გაფართოებულ სხდომებზეც მხოლოდ ესენი არიან. ივანიშვილის დროსაც იგივე არასამთავრობოები ისხდნენ მაგიდასთან და ღარიბაშვილის დროსაც. ჩუგოშვილს რომ ვკითხე, ივანიშვილმა ხომ თქვა, რომ არასამთავრობო სექტორის იზიარებს ეკლესიის დისკრედიტაციისკენ გადადგმულ პროვოკაციულ ნაბიჯებს, რაც ბოლო დღეებში ხდებოდა. მივმართავ თხოვნით, სანამ ქალბატონმა თამარ ჩუგოშვილმა და „მისი ხელის“ არასამთავრობოებმა უფრო მეტი ზიანი არ მიაყენეს მთავრობის, ქვეყნისა და ეკლესიის იმიჯს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოელი პარტნიორების წინაშე, რაც მათ არაერთხელ გაუკეთებიათ, გთხოვთ ქალბატონი თამარ ჩუგოშვილი უახლოეს მომავალში გადააყენოთ დაკავებული თანამდებობიდან. ამასთანავე, გვაქვს ინფორმაცია, რომ ის ახალ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აძლევს საზოგადოებაში ინტეგრირებისა და განვითარების საშუალებას, რასაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი აქტიურად უჭერდა მხარს.

**„ალია“ კომენტარისთვის პრემიერის მრჩეველს თამარ ჩუგოშვილს დაუკავშირდა: „არ მესმის, ეს რა არის, ჰაერიდან ჩირქი მოსცხო ადამიანს. დამიდოს კონკრეტული ფაქტები და ისე ვისაუბროთ. რაც შეეხება საბჭოს, 100 არასამთავრობოა და ყველას ხომ ვერ ჩავრთავთ? ამიტომ ზოგადი პროფილის რამდენიმე ორგანიზაცია ჩავრთეთ. ეს არის ბოდვა და მეტი არაფერი“. — განაცხადა ჩუგოშვილმა.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დევნილებს ბინებს სიმბოლურ ფასად გადასცემენ



543 დევნილ ოჯახს საკუთრებაში სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად საცხოვრებელი ბინები გადაეცემა. ბინები თბილისში, რუსთავში, მცხეთაში, ჭიათურაში, ქუთაისში, წყალტუბოში, ფოთსა და ბათუმშია განლაგებული. დევნილთა და განსახლების მინისტრის დავით დარახველიძის განმარტებით, 2 ათასი დევნილი მესაკუთრე უკვე გახდა. „გასულ წელს 1635 ოჯახი გახდა მესაკუთრე. მიმდინარე წელს ძალისხმევას უფრო გავააქტიურებთ და ვიმედოვნებთ, უძრავი ქონების მესაკუთრე რამდენიმე ათასი ოჯახი კიდევ გახდება“, – განაცხადა დარახველიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## სემეკმა „ყაზტრანსგაზი“ დააჯარიმა




საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო „ყაზტრანსგაზ თბილისი“ 5 000 ლარით დააჯარიმა.

საქმე „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მიერ 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის იანვარში მოქალაქეთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის წესის დარღვევას ეხებოდა, რის გამოც მოქალაქეებს მიმდინარე წლის იანვარში გაზრდილი გადასახადები მიუვიდათ.

სემეკის გადაწყვეტილებით, იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ბუნებრივი გაზის ჩვენების ერთ ქვითარში ასახვითა და გაერთიანებული გადასახადის წარდგენით გაუუარესდათ მდგომარეობა, დარიცხული თანხის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ მარტამდე შეეძლებათ. (ინტერპრესნიუსი)

## ჩუღურეთში 20 წლის მამაკაცი მოკლეს




თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაზიაშვილის (ყოფილი მონტინის) ქუჩაზე 20 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცი, სავარაუდოდ, 100 ლარის გამო მოკლეს. შსს-სთვის ცნობილია მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა და მის დასაკავებლად საგამოძიებო მოქმედებები უკვე მიმდინარეობს.

ერთ-ერთი ვერსიით, ზ.ო.-მ „ჯოკერში“ 100 ლარი წააგო, თუმცა თანხა არ ჰქონდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა დ.გ.-მ კი, რომელიც, სავარაუდოდ, ნარკოტიკების მომხმარებელია, მოგებული თანხა კატეგორიულად მოითხოვა და ზ.ო-ს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. გარდაცვლილს ჭრილობები როგორც ცეცხლსასროლი, ისე ცივი იარაღით აქვს მიყენებული. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## მამა თეოდორე გიგნაძე:

# „პატრიარქმა ივანიშვილზე თქვა ისეთი რაღაც, რასაც ვერ გეტყვით“

**ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე ეკლესიასა და საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება:**

**— ბიძინა ივანიშვილის მიერ პატრიარქის გაკრიტიკებას როგორ შეაფასებთ?**

– ივანიშვილის სიტყვებს ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვა საზოგადოებაში. მის ნათქვამში ძალიან ბევრი შეცდომა იყო დაშვებული. რა თქმა უნდა, პატრიარქი უცდომელი არ არის, მაგრამ, როდესაც ეპისტოლეს აკრიტიკებ, ღვთისმეტყველის თვალსაზრისით მაინც უნდა გააკრიტიკო. პატრიარქი კი ვერ იტყვის და არ იტყვის იმას, რაც ქრისტიანობას ეწინააღმდეგება. ბიძინა ივანიშვილს პატრიარქი საჯაროდ არ უნდა გაეკრიტიკებინა, რადგან ჩვენი უწმინდესი ერთადერთი ავტორიტეტია, რომელიც ერს ჯერ კიდევ კრავს. რომ არა პატრიარქის ავტორიტეტი, ივანიშვილი ვერ გაიმარჯვებდა.

ასე რომ, ივანიშვილმა ამ სიტყვებით ძალიან ცუდი რამ გააკეთა და ამის თქმა არაფრით შეიძლებოდა. არ ვიცი, მისი მოტივაცია რა იყო. მის სიტყვებში რამდენიმე არაჯანსაღი მომენტიც გამოიკვეთა. ნათლად გამოჩნდა, რომ ივანიშვილი თავს ეკლესიაზე მაღლა აყენებს. ეს ყველაფერი გამოსჭვივის არა ფრაზაში, ეკლესიაში ძალიან ბევრი ცუდი ხდებაო, რაც მართალიცაა და ნამდვილად ასეა, მაგრამ გამაოგნებელია ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი, – მე და ჩემი ოჯახი გარკვეულ დონემდე ვიღებთ ეკლესიასო. ამიხსენით, რას ნიშნავს გარკვეულ დონემდე ეკლესიის მიღება? მან ასევე თქვა, ნუ გეშინიათ ეკლესიის გაკრიტიკებისო. ეს სიტყვები მე რომ მითხრა, კიდევ გასაგებია, მაგრამ ვის უთხრა? მათ, ვინც წლების განმავლობაში კბილებს ილესავენ ეკლესიაზე და ელიან მომენტს, რომ როგორმე დაგვიჯიჯგნონ?!

ამას რატომ ეუბნებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ისედაც გვწეწავენ? ივანიშვილის ამ სიტყვებმა საეკლესიო წრეებში დიდი გულისტკივილი გამოიწვია. შეიძლება ადამიანი არ იყოს თავგადაკლული მორწმუნე, მაგრამ, როდესაც ვერ აცნობიერებ, ეკლესიას რა როლის შესრულება შეუძლია საქართველოს აღმშენებლობაში, უკვე სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე. ეკლესია არის ერის დუღაბი და ამ დუღაბის შერყევა დღეს, მით უმეტეს, არ შეიძლება. თუ რამე არაჯანსაღი ხდება ეკლესიაში და ნამდვილად ხდება, კარგად ვიცი. მაგალითად, უღირსი სამღვდელო პირები....ამ ყველაფერს სხვანაირი მხარში დადგომა და მიდგომა სჭირდება და არავითარ შემთხვევაში ეკლესიისა და პატრიარქის აუგად მოხსენიება. ვინც ეკლესიას დაეჯახა, ყველამ რქები დაიმტვრია. ყოფილი პრემიერ-მინისტრი თუ არაჯანსაღად შეეხო ეკლესიას, მისთვისვე იქნება ცუდი. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, როგორც კი ხელისუფლებაში მოდიან ადამიანები, როგორც კი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ, მაშინვე ეკლესიის დამოძლვრას იწყებენ. როგორც ნოე ჟორდანია იქცეოდა თავის დროზე, ახლაც ისე იქცევიან ესენი. ჯერ ერთი პატრიარქი მოკლა, მეორე კი საპატრიარქოდან გამოაძევა. ჩვენ ქრისტეს წინაშე ყოველთვის ვაშავებთ, ამიტომაც მძიმდება ჩვენი მდგომარეობა.



პატრიარქსა და ეკლესიაზე ასე პირდაპირ სააკაშვილის ხელისუფლებასაც არ მიუტანია იერიში, თუმცა სააკაშვილი და შევარდნაძე შემოვლითი გზებით ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ უშუალოდ პატრიარქის მიმართაც. ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ უღირსი სასულიერო პირები, ამაში ლომის წილი მიუძღვით სააკაშვილსა და შევარდნაძეს.

**— მაინც რატომ დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილი პატრიარქსა და ეკლესიას?**

– არ ვიცი. ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ, როდესაც საპატრიარქოში მივედი, გულისტკივილი იგრძნობოდა. არადა, მსგავს გულისტკივილს არც შევარდნაძისა და არც სააკაშვილის გამო არ გამოხატავდნენ. ივანიშვილის შემთხვევაში კი ძალიან შეწუხდნენ, რადგან მისი განცხადება საპატრიარქოშიც მოულოდნელი იყო. კი, ბატონო, მე გამაკრიტიკე, რატომაც არა, მაგრამ პატრიარქი?! გასაგებია, რომ პატრიარქიც ადამიანია და უცოდველი არავინაა, მაგრამ ივანიშვილმა ძალიან ცუდ კონტექსტში გამოთქვა ეს ყველაფერი და თანაც იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩასაფრებულნი არიან საპატრიარქოს წინააღმდეგ.

**— ამ განცხადების შემდეგ თუ მოინახულა ბიძინა ივანიშვილმა პატრიარქი?**

– დღემდე არ ყოფილა.

**— პატრიარქმა რა თქვა ამ ყველაფერზე?**

– პატრიარქმა ივანიშვილზე თქვა ისეთი რაღაც, რასაც ვერ გეტყვით, რადგან ამის უფლება არ მაქვს....

**— საპატრიარქოში აგენტებია შეგზავნილიო...**

– ვის რაში სჭირდება შეგზავნა? ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მზად არ არის ეკლესიისთვის, აკურთხე მღვდლად და შეუშვი ეკლესიაში, ის აუცილებლად გააფუჭებს საქმეს. ელემენტარულია, მიეცი ისეთ ადამიანს ექიმის დიპლომი, რომელსაც არ აქვს მედიცინასთან შეხება და გააკეთებინე ოპერაცია, პაციენტი ხომ შემოაკვდება? ზუსტად ასეთი ვითარებაა ეკლესიაშიც. (news plus)

## სუბარი საკუთარი თანამშრომლებით უკმაყოფილოა



სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი გეგუთის ციხესთან გამართულ საპროტესტო აქციებს „ძველი ბიჭების ძმაკაცების“ მცდელობებს უკავშირებს. სუბარის მტკიცებით, გეგუთში ამ დროისთვის სიმშვიდეა და როგორც „არაფრის გამო დაიწყო არეულობა, ისე არაფრის გამო დასრულდა, გარეთ გაცილებით დიდი ხმაური არაფრისთვის იყო ატეხილი, გაცილებით მეტ აჟიოტაჟს ქმნიდა პრესა, ვიდრე სინამდვილეში რამე ხდებოდა“.

მინისტრის ინფორმაციით, გამოძიება იმ თანამშრომლების მოქმედებებსაც გამოიძიებს, რომლებიც შეგნებულად აწყობდნენ პროვოკაციებს და შეგნებულად აქეზებდნენ პატიმრებსა თუ მათ ოჯახებს.

„კორუმპირებული კორუმპირებულია, მნიშვნელობა არ აქვს, როდის დაინიშნენ ისინი. უმრავლესობა ძველი თანამშრომელია, რადგან 4 ათასი კაცის ერთ დღეში გაშვება ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ზოგიერთი ახალი მიღებულიც იყოს“. – აღნიშნა სუბარმა.

გეგუთის ციხეში, პატიმრები კოლონიის უფროსის გადადგომის მოთხოვნით რამდენიმე დღის განმავლობაში შიმშილობდნენ. გეგუთის ციხეში პატიმრებმა შიმშილობა 2 დღის წინ შეწყვიტეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთ-საქართველოს შორის პროვოკაციების ალბათობა მინიმალურია




პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის აზრით, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრისთვის მზადების პროცესში პროვოკაციების ალბათობა ნაკლებია, შესაბამისად, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ შეიძლება, სიტუაციის დაძაბვის თაობაზე რისკები მაქსიმალურად შემცირდეს.

„მინდა, თავად პროცესის მნიშვნელობაზე გავამახვილო ყურადღება. რუსეთისა და საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირების შეხვედრისთვის მომზადების პროცესში ძალიან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პოზიციები გამოიკვეთება ორივე მხრიდან. თავად შეხვედრისთვის მზადების პროცესი კი უკვე ნიშნავს ორ ქვეყანას შორის მოსალოდნელი კონფლიქტების, პროვოკაციების შემცირებას და მათ პრევენციას“, – განაცხადა სესიაშვილმა. (პირველი)

## რუსეთმა კავკასიაში გავლენის შენარჩუნების შანსები დაკარგა



აშშ-ში, კარნეგის ცენტრში, პაატა ზაქარეიშვილმა, სიტყვით გამოსვლისას ნატო-სა და ევროკავშირისგან მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი მტკიცებით, კარგი იქნება, თუ რუსეთთან მოლაპარაკებების ახალი ციკლის დაწყების წინ, საქართველოს როგორც ევროკავშირი, ისე „ნატო“ ზურგს ინსტიტუციურად კიდევ უფრო გაუმაგრებს.

„ყველაზე დიდი შეცდომა, რაც რუსეთმა დაუშვა, ეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა. ამით მან კავკასიაში გავლენის შენარჩუნების ყოველგვარი შანსები პრაქტიკულად მოიკვეთა, შესაბამისად, რუსეთის ინტერესებში, თავისივე შეცდომების გადახედვაა“. – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (პირველი)

## დავით ნარმანიას გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება



რეგიონული განვითარების მინისტრს დავით ნარმანიას თბილისის მერის არჩევნებზე გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება. „როგორი მაღალიც უნდა იყოს ბარიერი, მას მაინც დავძლევ. ძალიან კარგი საარჩევნო პროგრამა მაქვს, ის ამომრჩევლის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და არა ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე დემოკრატიული და მოწესრიგებული არჩევნები იქნება“, – განაცხადა ნარმანიამ. (პირველი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# 9 თვის წინანდელი სკანდალი, რომელიც არ გახმაურებულა!!!

აჭარაში ქვეყნის ამომგდები „ნაციონალების“ მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის პროცესი ისევ წარმატებით გრძელდება. ადგილობრივი მოსახლეობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, არჩილ ხაბაძეს „ნაციონალებთან“, რბილად რომ ვთქვათ, ლოიალურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს. „თუ ასე გაგრძელდა „ნაციონალთა“ აღზევება აჭარის სახელმწიფო სტრუქტურებში, არ გაგვიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს ლევან ვარშალომიძესაც რომ უბოძოს ხაბაძემ სოლიდური თანამდებობა“, – აცხადებენ აჭარაში. ხალხი განსაკუთრებით იმით არის აღშფოთებული, რომ „ხაბაძის კადრები“ უმთავრესად ის „ნაციონალები“ არიან, რომლებიც ადრე აჭარაში ოპოზიციასთან ბრძოლით გამოირჩეოდნენ, ხალხის დარბევასა და დაშანტაჟებაში მონაწილეობდნენ. ამის დამადასტურებელი ფაქტები კი არსებობს. ეს ფაქტები იმ ადამიანებს აქვთ, ვისაც ეს „ზონდერები“ ებრძოდნენ. მოკლედ, არჩილ ხაბაძე და სხვა აჭარელი მაღალჩინოსნები, სახელისუფლებო სტრუქტურებისკენ ისევ იმ ადამიანებს უხსნიან გზას, ვინც ამ ერთი წლის წინათ, უშეღავათო ბრძოლით, ქართველმა ხალხმა ამ პოსტებს ძლივს ჩამოაცილა. „ნაციონალთა“ პოლიტიკური რეინკარნაცია დღეს არა მარტო აჭარის, არამედ მთელი საქართველოს პრობლემაა, მაგრამ პოლიტიკურ გვამთა გაცოცხლების პროცესი ისე სწრაფად არსად მიმდინარეობს, როგორც იქ.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ არჩილ ხაბაძის მიერ დანიშნული ქობულეთის გამგებელი, გიორგი რომანაძე, უშუალოდ არჩილ ხაბაძის მითითებით, ერთდროულად რამდენიმე „ნაციონალის“ გადიდკაცებას აპირებს. თავად რომანაძე ქობულეთის გამგებელი მხოლოდ იმის წყალობით გახდა, რომ ის აჭარის პირველკაცის, თამაზ ხაბაძის მამასთან ერთად მუშაობდა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში. სწორედ მამამ, თამაზ ხაბაძემ შეაწია შვილს სიტყვა გიორგი რომანაძის კაიკაცობის შესახებ და გამგებლადაც დაანიშნინა.

ხალხი ამბობს, რომ გიორგი რომანაძე ძალზე კონფლიქტური პიროვნებაა. სულ 19 დღის დანიშნული იყო გამგებლად, როცა ქობულეთში, ერთ-ერთ სახელმწიფო უწყების შენობაში უკანონოდ შესახლებული უსახლკარო ადამიანები მივიდნენ მასთან საკუთარი პრობლემის გადასაჭრელად. გამგებელმა ნორმალურად არც კი მოუსმინა მათ, სრულიად უმიზეზოდ ატეხა აურზაური, ეს ხალხი გამგეობიდან დაიფრინა, თანაც ისე, რომ დაცვის გამოძახებაც დასჭირდა. ქობულეთში ამბობენ, რომ რომანაძე დასანახად ვერ იტანს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს და დაუქადნია, – ვიდრე მე აქა ვარ, გამგეობაში, სულ უმნიშვნელო პოსტზეც კი არ დაინიშნება „ქართული ოცნების“ არც ერთი წევრი და ამ კოალიციის არც ერთი მომხრეო. გიორგი რომანაძე თვლის, რომ გამგეობაში დასაქმებული „ნაცები“ შეუცვლელი პროფესიონალები არიან და ყველა უნდა დარჩეს სამსახურში. ხალხი ამბობს, რომ გიორგი რომანაძეს, საკუთარი სიმპათიების გარდა, სხვა არგუმენტებიც აქვს „ნაციონალთა“ სამფარველოდ. ერთი მხრივ, ქობულეთის საკრებულოს უფროსის, რომელიც „ნაცების“ დიდი მფარველია, მეორე მხრივ კი – არჩილ ხაბაძეს. სწორედ ხაბაძეს დაუვალებია რომანაძისთვის, – „ნაციონალები“ არ გამინაწყენოო. რომანაძესაც სწორედ ეს უნდოდა და ახლა საკუთარ მოადგილესაც იმ ხალხიდან არჩევს, რომლებიც „ნაციონალებთან“ შეხმატკბილებულნი არიან. რომან ჩხაიძე, დავით ბოლქვაძე და ალეკო გოგმაჩაძე – აი, ამ სამი კანდიდატიდან უნდა აირჩიოს ერთი მოადგილე. ქობულეთელები აცხადებენ, რომ ამ სამეულიდან რომელი დაინიშნება გამგებლის მოადგილედ, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან სამივე ერთნაირი გულმოდგინებით გაუწევს „ნაციონალებს“ მფარველობას.



რომან ჩხაიძე, მართალია, „ნაციონალთა“ მმართველობისას ოპოზიციონერობდა, მაგრამ ოჯახის წევრები ყოველთვის სახელმწიფო სამსახურში ჰყავდა და პარალელურად, ოპოზიციონერობდა. რეჟიმის ოპოზიციონერობის პერიოდი ისე განვლო რომან ჩხაიძემ, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს, თმის ღერი არ ჩამოვარდნიათ. მისი ოპონენტები აცხადებენ, რომ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველზე, თანამებრძოლები აქციის დარბევამდე ნახევარი საათით ადრე მიატოვა და დაიმალა.

ალეკო გოგმაჩაძე ცოტა ხნის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი იყო, თავის დროზე, „ქართული ოცნების“ წევრებს აქტიურად ებრძოდა და ცხადია, უკანონო მეთოდებით. როგორც ჩანს, როცა გიორგი რომანაძე „ნაცების“ კადრების შეუცვლელობაზე, მათ გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე ლაპარაკობს, ქართველ ხალხთან და პოლიტიკურ ოპონენტებთან მათი მრავალწლიანი ბრძოლა აქვს მხედველობაში. კი, ამგვარი გამოცდილება საქართველოში „ნაცზონდერთა“ გარდა, სხვას მართლა არ გააჩნია.

საყურადღებოა ქობულეთის სოფლებში გამგებლების შერჩევის საკითხიც. რამდენიმე სოფელში უკვე წარდგენილნი არიან „ქართულ ოცნებაში“ არჩევნების შემდეგ გადაბარგებული „ნაციონალები“. გიორგი რომანაძეს დაბა ბობოყვათში სწორედ ახლად ფერნაცვალი „ნაციონალის“, გენადი თამაზაშვილის დანიშვნა სურდა გამგებლად, მაგრამ მის გადაწყვეტილებას ბობოყვათელები აღუდგნენ წინ, მოსახლეობა კაბინეტში არ უშვებს თამაზაშვილს და ეს არ იქნება პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა რომანაძის კადრები ხალხში დიდ გულისწყრომას დაიმსახურებენ. არც ის არის გამორიცხული, თუ ასე გაგრძელდა, საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდეს. ვერც გაამტყუნებ ამ ხალხს. მათ თავზე იმ ადამიანებს ასვამენ, ვინც ერთი წლის წინათ, მათ დარბევასა და შევიწროებაში მონაწილეობდა, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურად უსწორდებოდა მათ და ოჯახის წევრების დაჭერითა და ათასი უბედურებით ემუქრებოდა. ჰო, სოფელ დაგვში, სავარაუდოდ, ანზორ გოგმაჩაძეს ნიშნავს რომანაძე გამგებლად და დაგველებიც უკვე ყალყზე დგანან, გოგმაჩაძე ყოფილი „ნაციონალია“, ეგ თუ გამგებლად მოვიდა, გამოვათრევთ კაბინეტიდან და გამგეობიდან კი არა, სოფლიდანაც გავაძევებთო.

ყველა ახალი კადრი, რომელიც თანამდებობაზეა წარდგენილი, არჩილ ხაბაძის ყოფილი თანამშრომელია, ან მისი სამეგობრო წრიდანაა. „ნაციონალი“ კადრების გადახალისება ხდება აჭარის რეგიონის თითქმის ყველა რაიონში და ამის შესახებ „ქრონიკა“ არაერთხელ წერდა. თუმცა, ხაბაძე კვლავ არ ეშვება ნეპოტიზმს და რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, საკუთარი გარემოცვიდან, მაინცდამაინც, „ოცნებაში“ ახლახან გადასულ „ნაციონალებს“ უხსნის გზებს თანამდებობისკენ და არა იმ ადამიანებს, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლას ძალიან ბევრი რამ შესწირეს და ბოლომდე უერთგულეს ბიძინა ივანიშვილს.

ახლა კი ერთი სამთავრობო სკანდალის შესახებ, რომელიც 9 თვის წინ მოხდა და რატომღაც დღემდე აჭარას არ გასცილებია. აჭარაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, როცა მთავრობის თავმჯდომარედ საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი, „ქართუ ბანკის“ ბათუმის ფილიალის მმართველი არჩილ ხაბაძე დაინიშნა, აჭარის მთავრობის ფორმირებისას, ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად, ხაბაძის მეჯვარე და ბავშვის ნათლია, გიორგი თავართქილაძე მოგვევლინა. ცხადია, ნეპოტიზმის ნიშნები ამ შემთხვევაშიც აშკარად სახეზეა, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. არჩილ ხაბაძის მოთხოვნით, გიორგი თავართქილაძის პირველ მოადგილედ სამშენებლო კომპანია „ანაგის“ ფინანსური დირექტორი, დავით ბალაძე გაამწესეს. კომპანია „ანაგი“ აჭარაში „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი იყო წლების მანძილზე. მეტიც, ეს ის „ანაგია“, რომელმაც 2012 წლის გაზაფხულზე, „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის მიმდებარე ტერიტორია შემოღობა, ვითომ იქ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა და ბიძინა ივანიშვილსა და მის თანაგუნდელებს ნორმალურ მუშაობაში ხელს უშლიდა.

აქვე ერთი საყურადღებო დეტალიც უნდა შეგახსენოთ. 2012 წლის აგვისტოში, მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით, „ქართუ ბანკის“ გაკოტრება გადაწყდა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე პირადად ასრულებდა ამ დავალებას. სწორედ ამ დროს, „ქართუ ბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია შევიდა, დროებითი ადმინისტრაციის მმართველად კი ვლადიმერ უგულავა დაინიშნა. ვლადიმერ უგულავამ ბათუმის ფილიალის მაშინდელი ხელმძღვანელი არჩილ ხაბაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა. უმუშევრად დარჩენილ არჩილ ხაბაძეს დავით ბალაძემ „ანაგში“ საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობა შესთავაზა. დღეს ბიძინა ივანიშვილის ერთგულ თანამებრძოლად შერაცხული და მისი პროტეჟე არჩილ ხაბაძე, თანახმა იყო, 1-ლი ოქტომბრის არჩევნებამდეც კი არ მოეცადა, ოღონდ მცირე ხნით უმუშევარი არ დარჩენილიყო და „ნაციონალთა“ მიერ კონტროლირებად კომპანიაშიც კი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილმა ბაქოში „იჩერი შეჰერი“ მოინახულა



ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტმა ბაქოში არსებული ისტორიული ნაკრძალი, ძველი ქალაქი „იჩერი შეჰერი“ დაათვალიერა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილმა ძველი ქალაქის ქუჩებში გაისეირნა, მოინახულა ბაქოს სიმბოლო, „ქალწულის კოშკი“ და შირვანშაჰების სასახლე. მას ის ადგილიც აჩვენეს, სადაც წმინდა ბართოლომეოსს მოჰკვეთეს თავი.

ქვეყნის პირველ პირს გიდობა პირადად გაუწია ისტორიული არქიტექტორული ნაკრძალის ხელმძღვანელმა სამირ ნურიევმა, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა – ხალიჩა, რომელზეც გამოსახულია სიმამაცის სიმბოლო – ხარის თავი. (ინტერპრესნიუსი)

## „მარჯანიშვილზე“ შეფერხების მიზეზად ძაბვის ვარდნა სახელდება




მეტროსადგურ „მარჯანიშვილზე“ მეტროპოლიტენის მუშაობა რამდენიმე წუთით შეფერხებული იყო. მეტროპოლიტენის პრესსამსახურის განცხადებით, ძაბვის ვარდნის გამო მატარებელი დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში გაჩერდა. მეტროში იყო დაკვამლიანებაც. ძაბვის ვარდნამ შეფერხება მეტროპოლიტენის მხოლოდ ერთი ხაზის, ვარკეთილიდან ახმეტელის მიმართულებით გამოიწვია.

მათივე თქმით, სახანძრო სამსახურში ერთ-ერთმა ქალბატონმა დარეკა, თუმცა სამაშველო სამსახურის ჩარევა საჭირო არ გამხდარა და მეხანძრეები უკან გააბრუნეს. მგზავრების ევაკუაცია არ მომხდარა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურში განაცხადეს, რომ „მარჯანიშვილის“ მეტროში ერთ-ერთ ვაგონში მოკლე ჩართვა მოხდა, თუმცა ამას ხანძარი არ გამოუწვევია. (ინტერპრესნიუსი)

# „უცხოელი ინვესტორები ამ ფაქტის შემდეგ აღარ გამოჩენილან“



დაეწყო მუშაობა. მოკლედ, ხაბაძე მზად იყო, ივანიშვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასულიყო. თუმცა, მოვლენები მალე ისე განვითარდა, რომ ხაბაძეს „ანაგში“ გადაბარგება აღარ დასჭირდა. ბიძინა ივანიშვილმა ეროვნული ბანკის მიერ გადახდილი ჯარიმა, 80 მილიონი ლარი გადაიხადა, ბანკი დაიბრუნა და ხაბაძეც ავტომატურად დაბრუნდა „ქართუ ბანკის“ ბათუმის ფილიალის მმართველად. თუმცა, ხაბაძემ ბალაძეს ძველი პატივისცემა არ დაუვიწყა და როცა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გახდა, ის გიორგი თავართქილაძის პირველ მოადგილედ დანიშნა. დავით ბალაძეს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხების მოგვარება დაევალა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, აჭარაში შემოვიდა ინვესტორთა დიდი ჯგუფი. უცხოელები განსაკუთრებით ე.წ. გონიოს პოლიგონის ტერიტორიამ დააინტერესა და მზად იყვნენ, არა მხოლოდ აჭარის, მთელი საქართველოს მასშტაბით რეკორდული ინვესტიცია განეხორციელებინათ. წინასწარი მონაცემებით, საქმე დაახლოებით 7-მილიარდიან საინვესტიციო პროექტს შეეხებოდა. პროექტის დაფინანსებას, ერთდროულად აპირებდნენ ამერიკელი, ებრაელი, თურქი და ინდოელი ბიზნესმენები. გარდა ამისა, ამავე პერიოდში, აჭარაში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდნენ ბიზნესმენები პოსტსაბჭოთა სივრციდან, შორეული აღმოსავლეთიდან და ა.შ. ამ პოტენციურ ინვესტორთა მოზიდვა გიორგი თავართქილაძის სახელს უკავშირდება. სწორედ ის აწარმოებდა ყველა ინვესტორთან მოლაპარაკებას და ის პროექტებიც, რომლებიც უცხოელებს შესთავაზა, მისი იდეა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავართქილაძე ნათელმირონობის წყალობით გახდა მინისტრი, ის ხაბაძის იმედებს ამართლებდა.

დღემდე გაურკვეველია, რა სახის დაპირისპირება მოხდა მინისტრ გიორგი თავართქილაძესა და მის პირველ მოადგილეს, დავით ლაბაძეს შორის. ფაქტი კი ისაა, რომ 28 თებერვალს თავართქილაძემ ბალაძის მოხსნა გადაწყვიტა, შესაბამისი ბრძანებაც დაწერა და როგორც კანონი მოითხოვდა, იმავე 28 თებერვალს წერილობით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, არჩილ ხაბაძეს და ლაბაძის მინისტრის მოადგილის პოსტიდან განთავისუფლებაში მის თანხმობას ითხოვდა. გთხოვთ, ერთ დეტალს დაუკვირდით და დაიმახსოვრეთ, რომ ეს აბსურდული ამბავი თქვენთვის ნათელი გახდეს. 28 თებერვალს თავართქილაძემ ხაბაძეს წერილი რომ მისწერა, იქ აღნიშნული იყო, რომ ის ლაბაძეს 5 მარტიდან ათავისუფლებდა საკუთარი მოადგილის პოსტიდან და ხაბაძისადმი გაგზავნილ წერილშიც ეს თარიღი იყო მითითებული. ყველა ფიქრობდა, რომ ლაბაძე მოხსნილი იყო და ნათელმირონის მოთხოვნას ხაბაძე უსიტყვოდ დააკმაყოფილებდა. მოულოდნელად, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. არჩილ ხაბაძემ დავით ლაბაძე კი არ მოხსნა, არამედ გიორგი თავართქილაძე გაათავისუფლა მინისტრის პოსტიდან. საგულისხმოა, რომ თავართქილაძის განთავისუფლებას ხელი ხაბაძემ 4 მარტს მოაწერა, ერთი დღით ადრე, ანუ დაასწრო თავართქილაძეს, რომელიც 4 მარტს, უკვე მოხსნილი, ცხადია, მეორე დღეს, 5 მარტს ბალაძეს ვერ გაათავისუფლებდა, რადგან ამ დროს მინისტრი უკვე აღარ იყო. იმავე დღეს, 4 მარტს ხაბაძემ მეორე ბრძანებასაც მოაწერა ხელი – დავით ლაბაძე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. მოკლედ, კაცი, როგორც იტყვიან, ჰაერში იყო, მინისტრის მოადგილის პოსტიდან ათავისუფლებდნენ და საქმე ისე შეტრიალდა, ბალაძე არათუ მოხსნას გადაურჩა, ვინც ხსნიდა, მისი ადგილიც დაიკავა – თავად გახდა მინისტრი. სხვათა შორის, არჩილ ხაბაძეს გიორგი თავართქილაძისთვის არც კი უთქვამს, რომ მინისტრობიდან ათავისუფლებდა, ყველაფერი ნაჩქარევად და კანონის დარღვევით გააკეთა, თავართქილაძემ ტელევიზიით შეიტყო მინისტრის პოსტიდან თავისი განთავისუფლების ამბავი.

არჩილ ხაბაძის ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას აჭარაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ათასი ვერსია გავრცელდა, მაგრამ ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ „ქართული ოცნების“ ოფისიდან გამოჟონა. ამ წყაროს ინფორმაციით, დავით ლაბაძემ გიორგი თავართქილაძეს „სახელისუფლებო დუელი“ მხოლოდ იმიტომ მოუგო, რომ მან არჩილ ხაბაძეზე ზეწოლა მოახდინა – დააშანტაჟა. კერძოდ, წყაროს ინფორმაციით, წარსულში ლაბაძე არა მხოლოდ „ნაციონალთა“ კონტროლირებადი კომპანია „ანაგის“ ფინანსური მენეჯერი იყო, მას სწორედ ამ ბიზნესის წყალობით, ახლო ურთიერთობა ჰქონდა აჭარის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან, მათ შორის, აჭარის კუდ-ის უფროსთან, თემურ პატარიძესთან. წყარო აცხადებს, რომ სწორედ თემურ პატარიძემ მიაწოდა დავით ლაბაძეს არჩილ ხაბაძის შესახებ კომპრომატები და ამის მეშვეობით ლაბაძემ თავი გადაირჩინა. ხაბაძეს საკუთარი მეჯვარე და შვილის ნათლია მოახსნევინა მინისტრის პოსტიდან და მეტიც, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი თავად გახდა. თუმცა, ეს კიდევ არაფერია. ვინ უხელმძღვანელებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, იქნებ არც ისე მნიშვნელოვანი იყოს, მთავარია, საქმე გაკეთდეს და რეგიონისა და ხალხისთვის სულ ერთია, გვარად თავართქილაძე იქნება მინისტრი თუ ლაბაძე. თუმცა, აქვე ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იკვეთება, რაც, სავარაუდოდ, ამ ჩახლართული ისტორიის კვანძს ხსნის. გიორგი თავართქილაძის მოხსნა „ნაცმოძრაობის“ უმაღლეს ეშელონებში იყო დაგეგმილი, ამ საქმეში უშუალოდ იყვნენ ჩარეულნი ლევან ვარშალომიძე და მისი კლანი. მათ აფრთხობდათ ის პერსპექტივა, რომ გიორგი თავართქილაძეს, შესაძლოა, მართლა მოეზიდა რამდენიმემილიარდიანი ინვესტიცია რეგიონში. „ქართული ოცნების“ წარმატება ხომ, ავტომატურად, „ნაცმოძრაობის“ მარცხია. ამიტომ, „ნაციონალებმა“ იზრუნეს, რომ ეს გარიგება ჩაეშალათ, საამისოდ კი ყველაზე მოკლე გზა გიორგი თავართქილაძის მოშორება იყო. ლევან ვარშალომიძის კლანმა კი საწადელს არჩილ ხაბაძის მეშვეობით მიაღწია. სხვათა შორის, ზემონახსენები უცხოელი ინვესტორები ამ მიჩუმათებული სკანდალის შემდეგ აღარ გამოჩენილან. წყარო აცხადებს, რომ ახალ მინისტრს, დავით ლაბაძეს ხელი არ გაუნძრევია არც იმ ინვესტორთა მოსაბრუნებლად და არც სხვათა მოსაძიებლად. ის, უბრალოდ, „ნაციონალთა“ დაკვეთას ასრულებს, აჭარაში მსხვილი ინვესტიციები არ მოიზიდოს. თუ რომელიმე უცხოელ ბიზნესმენს აჭარაში ფულის ჩადება მოუნდება, ყველაფერი იღონოს ამგვარი პროექტების ჩასაშლელად. მოკლედ, საქმე კლასიკურ საბოტაჟთან გვაქვს, რომელიც მეტად ეფექტურად განახორციელა ლევან ვარშალომიძის კლანმა.

წყაროს თქმით, დღეს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს კვლავ ლევან ვარშალომიძის კლანი აკონტროლებს. ისინი დავით ლაბაძის ხელით, არა მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებს ბლოკავენ, მეტიც, ვარშალომიძის კლანის წევრი ბიზნესმენები კვლავ ძველი წარმატებით ახერხებენ ტენდერებისა და აუქციონების მოგებას, უძრავი ქონების ყიდვას და აჭარაში თითქმის ყველა სამთავრობო ფინანსურ-ეკონომიკური პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ. ამასთანავე, ვარშალომიძის კლანის წევრი ბიზნესმენებისთვის, დღემდე არც ერთი ხელშეკრულება არ შეუწყვეტია აჭარის მთავრობას, როცა მათი კომპანიები ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს სისტემატურად არღვევენ და კანონით, არათუ კონტრაქტების შეწყვეტას, საჯარიმო სანქციებსაც იმსახურებენ. მოკლედ, როგორც ადრე ხვეტდნენ დაუმსახურებლად აჭარის ბიუჯეტიდან მილიონებს, დღესაც ისე ხვეტენ „ნაციონალები“. „ნაციონალურ ბიზნესს“ კი ამჯერად დავით ლაბაძე უქმნის სასათბურე პირობებს.

თუმცა, საკითხავია, დავით ლაბაძე მფარველობს აჭარაში „ნაციონალთა“ ბიზნესს თუ მის მიერ დაშანტაჟებული არჩილ ხაბაძე. კარგი იქნება, არჩილ ხაბაძე ამ ისტორიას ნათელს თუ მოჰფენს და საზოგადოებას მოუთხრობს საკუთარი მეტად უცნაური გადაწყვეტილების – გიორგი თავართქილაძის მოხსნისა და მის ადგილზე დავით ლაბაძის დანიშვნის მიზეზებს. მანამდე კი ის უნდა ვირწმუნოთ, რომ აჭარას არჩილ ხაბაძის ხელით კვლავ ლევან ვარშალომიძის კლანი მართავს, რადგან ამის გამაბათილებელი ფაქტები, სამწუხაროდ, არ არსებობს.

ხათუნა ელბაქიძე
591 41-27-97

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდებზე ნაკვეთური აღარ გაკეთდება



საარჩევნო უბნებში, კომისიის ბეჭდებზე ნაკვეთურის გაკეთების პროცედურა უქმდება. ამას საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც ინტერფრაქციული ჯგუფის სახელით პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა.

მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, კენჭისყრის პროცედურების ფარგლებში, საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდებზე ნაკვეთურის გაკეთება სავალდებულოა. ინიცირებული კანონპროექტით ბეჭდებზე ნაკვეთურის გაკეთების ვალდებულება უქმდება. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ პრაქტიკაში ნაკვეთურის გაკეთების პროცედურა ეფექტური არ აღმოჩნდა, ხშირ შემთხვევაში ქმნიდა რიგ პრობლემებს და კენჭისყრის პროცედურას ართულებდა. სწორედ ამ არგუმენტაციით საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ნაკვეთურის გაკეთების ვალდებულების გაუქმება მიზანშეწონილად ჩათვალა. (ინტერპრესნიუსი)

## „ქართული ოცნება“ დავით ნარმანიას კანდიდატურას შეცვლის?



„თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივნის, ალექსანდრე შალამბერიძის ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნება“ დავით ნარმანიას კანდიდატურას უახლოეს ხანებში შეცვლის.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდი „იბრძვის“ დავით ნარმანიას ჩამოშორებისათვის თბილისის მერობის კანდიდატად დასახელებისაგან და აიძულებენ თავად განაცხადოს უარი არჩევნებში მონაწილეობაზე.

„ეს პროცესი აქტიურად დაიწყო მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებული კვლევებით, ნარმანიას რეიტინგი 20%-საც ვერ აღწევს. ის ბაქიბუქი, რომელსაც ეწევა ღარიბაშვილი, თითქოსდა ნარმანიას არავითარი პრობლემა არ ექნება არც 40%-იანი, არც 50%-იანი და არც 60%-იანი ბარიერის შემთხვევაში, არის ფარსი და ეს კარის ინტრიგის გადასაფარად არის განცხადებული. თუ რეიტინგის პრობლემა არ არის, მაშინ რატომ არ თანხმდება ხელისუფლება მერის არჩევნების ჩატარებას 50%+1 ბარიერით, რაც არჩევნების შედეგებს ლეგიტიმურს გახდის?!“ – განაცხადა შალამბერიძემ. (ინტერპრესნიუსი)

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28





1. კუჭუკანა ჯირკვლის ანთება
2. ხუთშაბათის მომდევნო დღე
3. მუსლიმანთა ღმერთი
4. იორდანიის დედაქალაქი
5. უძველესი ქალაქი პორტი ძვ.რომში
6. დიაოხის მეფე
7. ბამბის თხელი ქსოვილი
8. ხელში დასაჭერი სამგზავრო ჩანთა
9. საქორწილო სიმღერა ძველ რომში
10. ეტრატი, რომლის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელახლა გამოიყენებოდა
11. უპირატესობის მიცემა სპორტულ შეჯიბრებაში
12. რკინიგზის პატარა ვაგონი
13. იგივეა, რაც მუშტარი
14. ხელოვნური თმები
15. ცხენის ნაშიერი
16. მჭევრმეტყველი
17. ...-კლარჯეთი
18. ეთიოპიის არაოფიციალური სახელწოდ.
19. საქართველოს ვალუტა
20. ინგლისელი დრამატურგი
21. ხოხბის ბარტყი
22. შვედეთის პარლამენტი
23. ზამბარიანი საწოლი
24. „ჩელსის" ამჟამინდელი მწვრთნელი
25. სიმსივნური წარმონაქმნი ლორწოვან გარსზე
26. ასო y-ის „კოლეგა"
27. ბიბლიური მოსეს ძმა
28. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
29. ქიმ. ელემენტი
30. ძიუდოს ხალიჩა
31. პატარა ელექტრო-ოროლანი
32. ქართული ვაზის ჯიში
33. სახელმწიფო დახმარება საწარმოებისთვის
34. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
35. ტროპ. მცენარე, საფეიქრო ბანანი
36. გიგანტური ამფითეატრი რომში
37. ბალკანეთის ხალხთა საფერხულო ცეკვა
38. დროის უკამრისობა ჭადრაკში
39. მდინარე იტალიაში
40. მაწვნის მსგავსი სასმელი აზიაში
41. გამოუწვავი აგური
42. „ძე" - არაბულ ენაში
43. ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელი
44. ხიზილალა - რუსულად
45. ვაშლის ღვინო
46. იგივეა, რაც რეპუტაცია
47. ყოფილი ფრანგი ფეხბურთელი
48. ბგერის ანარეკლი
49. თბილისის უბანი
50. სურათი ზღვის ხედით
51. მაია დარსმელიძის მეტსახელი
52. მოწოდება მინარეთიდან ლოცვისათვის
53. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი
54. ერთ-ერთი გოჭი რუსულ ზღაპარში
55. ლეგენდარული ბრაზილიელი ავტომრბოლელი
56. „სულიკოს" მუსიკის ავტორის სახელი
57. ჭამის სურვილი
58. იტალიელი კომპოზიტორი
59. ზურგის ტვინის სითხე
60. ფიროსმანის ტილო „ორთაჭალის ..."
61. მკურნალობის ღმერთი რომაულ მითოლოგ.
62. სეთურის სახელი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში"
63. ეპისკოპოსის თავსარქმელი
64. მთის თუთიყუში
65. დიდი გერმანელი კომპოზიტორი
66. აკრძალვა სახელმწიფო სამართალში
67. სოფელი სენაკის რაიონში
68. თეატრის კოლექტივი
69. ფრანგი მსახიობი ანუკ ...
70. მატყლის ქსოვილი
71. იტალიის საფეხბურთო კლუბი
72. მეეტლის დასაჯდომი ადგილი
73. მაგარი ქანი
74. იარაღი სპორტულ ფარიკაობაში
75. მუზების მთა ბერძნულ მითოლოგ.
76. ფრანგი მოდერნისტი მწერალი
77. ტატოს ლექსი „... ბოროტო"
78. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი
79. ჰოლივუდის მსახიობი იულ ...
80. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
81. საეკლესიო სანათი
82. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
83. ფრანგული ყველის მარკა
84. სოფელი ადიგენის რაიონში
85. სკანდინავიური ეპიკური ლიტერატურის ძეგლი
86. ტაჯიკი მწერალი
87. მდ. ლონდონში
88. სულხან-საბას მშობლიური სოფელი
89. იაპონიის თვითსახელწოდება
90. ფერმწერი ... გოგენი
91. დიდი იტალიელი ტენორი
92. ქალაქი კრასნოდარის მხარეში
93. მშვენიერი ელენეს ქმარი
94. მტაცებელი ფრინველი
95. პიმნ „ინტერნაციონალის" ტექსტის ავტორი ეჟენ ...
96. ოფელიას მამა „ჰამლეტში"
97. „V ელემენტის" კომპოზიტორი
98. კბილის შემადგენელი მკვრივი ქსოვილი
99. თვითმკვლელობა
100. ქამუშაძის სახელი (კლდიაშვ.)
101. ცხენის გასარეკი შეძახილი
102. რუსი მსახიობი
103. ხორც. კორკოტი
104. მოთავისე, თავკერძა ადამიანი
105. ქართული კინოაკადემიის პრიზი
106. ათენის ისტორიული ციხე-ქალაქი
107. ციხე აჭარაში
108. დაუქორწინებლობა კათოლიკურ სამღვდელოებაში
109. შოტლანდიის ძვ. სახელწოდება
110. აბესალომის სატრფო
111. ძველბერძნული ორყურა ჭურჭელი
112. ზაფხულის მეორე თვე
113. კომპოზიტორი ... ხაჩატურიანი
114. ვარდობისთვე
115. ინგლისელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის" პირველი მფლობელი
116. იაპონ. სპორტულ-ლოგიკური თამაში
117. ქართველი პიანისტი მამაკაცი
118. საჭადრაკო რეიტინგების სისტემის შემქმნელი ამერიკელი პროფესორი
119. ღრმა და შეუწორცებელი ჭრილობა
120. იგივეა, რაც პაშტეტი
121. შენობის შიგნითა ეზო
122. გაპოლიტიკოსებული ლიბერიელი ფეხბურთელი
123. ილუზიონისტის ტრიუკი
124. მიწაში ამოთხრილი ადგილი
125. დიდი მუწუკი
126. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
127. ჰუნების წინამძღოლი
128. სასაქონლო ნიშანი, სავაჭრო მარკა
129. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი
130. მსახიობი ... პაჩინო
131. ქართული ურმის სახეობა
132. „სამეფო" ფორტეპიანო
133. სამი წერტილი კამათელზე
134. კიმონოს შესაკრავი ქამარი
135. პირის ღრუს ზედა ნაწილი
136. თხრობითი ლიტერატურა
137. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
138. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
139. პალესტინის ექსლიდერი ... არაფატი
140. მოძღვრება იუდაიზმში
141. ორბორბლიანი მექანიკური ტრანსპორტი
142. აღმოსავლური ხორციანი კერძი
143. ფარსმან-... „დიდოსტატის მარჯვენაში"
144. მატარებლების სადგომი
145. პერსევსის დედა
146. საბერძნეთის კუნძული
147. ადამის ცოლი
148. თუთიყუშის სახეობა
149. ისრის წვერი

პასუხები: 1. პანკრეატიტი; 2. პარასკევი; 3. ალაჰი; 4. ამანი; 5. ოსტია; 6. ასია; 7. ჩითი; 8. საკვოიაჟი; 9. ეპითალამა; 10. პალიმფსესტი; 11. ჰანდიკაპი; 12. დრეზინა; 13. კლიენტი; 14. პარიკი; 15. კვიცი; 16. ორატორი; 17. ტაო; 18. აბისინია; 19. ლარი; 20. გრაი; 21. ლაპი; 22. რიქსდაგი; 23. ბეზმენი; 24. მოურინიო; 25. პოლიპი; 26. იქსი; 27. აარონი; 28. ალაო; 29. იოდი; 30. ტატამი; 31. იონიკა; 32. ალადასტური; 33. დოტაცია; 34. ნუტრია; 35. აბაკა; 36. კოლიზეუმი; 37. კოლო; 38. ცაიტნოტი; 39. ადა; 40. აირანი; 41. ალიზი; 42. იბნ; 43. ნასტასე; 44. იკრა; 45. სიდრი; 46. რენომე; 47. ტიგანა; 48. ექო; 49. ისანი; 50. მარინა; 51. მაო; 52. აზანი; 53. მატრიკული; 54. ნაფნაფი; 55. სენა; 56. ვარინკა; 57. მადა; 58. როტა; 59. ლიკვორი; 60. ტურფა; 61. ესკულაპი; 62. არქიფო; 63. მიტრა; 64. კეა; 65. შუმანი; 66. ვეტო; 67. ეკი; 68. დასი; 69. ემე; 70. შალი; 71. „ნაპოლი"; 72. კოფო; 73. ქვა; 74. რაპირა; 75. პარნასი; 76. პრუსტი; 77. სულო; 78. აკადემია; 79. ბრინერი; 80. იდეა; 81. კანდელი; 82. ფრე; 83. ბრი; 84. უდე; 85. ედა; 86. აინი; 87. ტემზა; 88. ტანძია; 89. ნიპონ; 90. პოლ; 91. კარუზო; 92. ტუაფსე; 93. მენელაე; 94. ძერა; 95. პოტიე; 96. პოლონიუსი; 97. სერა; 98. დენტინი; 99. სუიციდი; 100. ოტია; 101. აჩუ; 102. რანევსკაია; 103. არისა; 104. ეგოისტი; 105. „ნატო"; 106. აკროპოლისი; 107. გონიო; 108. ცელიბატი; 109. კალედონია; 110. ეთერი; 111. ამფორა; 112. ივლისი; 113. არამ; 114. მაისი; 115. მეტიუზი; 116. რენძიუ; 117. თორაძე; 118. ელო; 119. იარა; 120. პატე; 121. პატიო; 122. ვეა; 123. ფოკუსი; 124. ორმო; 125. ბმო; 126. ესე; 127. ატილა; 128. ბრენდი; 129. თერძი; 130. ალ; 131. ბოლოთრია; 132. როიალი; 133. სე; 134. ობი; 135. სასა; 136. პროზა; 137. ფოიე; 138. სიასამური; 139. იასირ; 140. კაბალა; 141. ველოსიპედი; 142. აზუ; 143. სპარსი; 144. დეპო; 145. დანაე; 146. იკარია; 147. ევა; 148. არა; 149. ზრო. გამუქებულ უჯრებში იკითხება: ზევით-კოლიზეუმი; ქვევით-აკროპოლისი.

## ვინც პენისის გადიდების ოპერაციას ჩაიტარებს, პოლიციაში არ მიიღებენ...



თუკი მამაკაცს საკუთარი „ღირსების“ გადიდება მოუნდება და სურვილს ფრთებსაც შეასხამს, შეუძლია, პოლიციაში მოხვედრაზე ოცნებასაც კი დაანებოს თავი. ყოველ შემთხვევაში, ინდონეზიის პოლიციაში მისთვის ადგილი ნამდვილად არ მოიძებნება.

როგორც ირკვევა, ქვეყნის შესაბამისმა უწყებამ გადაწყვიტა, სამსახურში მისაღები ადამიანების ანკეტაში სპეციალური პუნქტი დაამატოს: „ხომ არ გაგიდიდებიათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანო ხელოვნური ჩარევით?“.

– ვინც ამ კითხვას დადებითად უპასუხებს, ის ველარც პოლიციაში მოხვდება და ველარც – არმიაში, – აცხადებენ ინდონეზიელი ჩინოვნიკები და განმარტავენ, რომ ერთი ადამიანის მიერ პენისის გადიდება, შესაძლოა, მეორეში შურის აღძვრის მიზეზი გახდეს და მის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად იმოქმედოს. გარდა ამისა, დიდი ზომის „საოხრეს“ წვრთნების დროს ხელის შეშლაც შეიძლება მოჰყვეს და მოკლედ, ყველა იმ ზომას უნდა დასჯერდეს, რომელიც გარდატეხის ასაკის შემდეგ ჩამოყალიბდება.

სხვის პენისებზე რომ ფიქრობენ ზოგიერთები, იმიტომაც მიდის ყველას საქმე კარგად!..

*mainfun.ru*

## ბულგარეთის ჯანდაცვის სამინისტრომ სასწრაფო დახმარებისთვის 32 „პორშე კაიანი“ შეიძინა



სულაც არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პოლიტიკური ძალა მოვა ქვეყნის სათავეში – ფუფუნებისკენ მამაძაღლური ლტოლვა ყველას ერთნაირად უბინდავს ტვინს, რაშიც ლამის ყოველდღიურად ვრწმუნდებით!..

საფუძვლიანი პროტესტი მოჰყვა რიგითი მოქალაქეებისგან ბულგარეთის ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, უწყებამ სასწრაფო დახმარებისთვის 32 ერთეული „პორშე კაიანი“ შეიძინა.

ამ ნაბიჯს ოფიციალური უწყება იმით ხსნის, რომ ქვეყნის მიუდგომელ რეგიონებში ექიმები ჩვეულებრივი მანქანებით მისვლას ვერ ახერხებენ, ყველგანმავლები კი აღნიშნულ პრობლემას ადვილად მოაგვარებენ. რაც შეეხებათ რიგით მოქალაქეებს, მათი თქმით, ასეთი განმარტება სასაცილოა, რადგან თითო „პორშე კაიანში“ უწყებამ 157 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა, ამ თანხით კი გაცილებით მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება შეიძლებოდა.

უნდა ითქვას, რომ 100 ათას დოლარზე მეტად, ძირითადად, „პორშე კაიანის“ სპეცვერსიები ფასობს და რატომ დასჭირდა ბულგარეთის ჯანდაცვის სამინისტროს მაინცდამაინც „სპეც ზაკაზის“ მიცემა, რთული სათქმელია.

*vesti.ru*

## მეცნიერებმა „ქალური ბედნიერებისთვის“ საჭირო ყველაზე მყარი გარანტორი გამოიგონეს



ამიერიდან შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ქალის ყველაზე თამამი ფანტაზიების ახდენაც კი, რადგანაც გამოგონილია სპეციალური სპრეი, რომელიც მამაკაცს გაცილებით ალერსიანს ხდის...

მოკლედ, ძვირფასო ქალებო! გსურთ, რომ ქმარი ან უარეს შემთხვევაში, საყვარელი უფრო ალერსიანი იყოს? აღარ იდარდოთ ამაზე, რადგან თქვენ მეცნიერება დაგეხმარებათ!

– საჭიროა „ალერსის ელექსირის“ სულ რამდენიმე წვეთის მიპკურება, რომ ყველაზე უგრძნობი მამაკაციც კი ძალიან მგრძნობიარე გახდება, – ასე ახასიათებენ მეცნიერები თავიანთ ახალ გამოგონებას.

თურმე, ამ ჯადოსნური სპრეის მთავარი ღირსება ის ყოფილა, რომ ის შექმნილია ადამიანური ჰორმონისგან, სახელწოდებით – ოქსიტოცინი. ეს ნივთიერება სისხლში მშობიარობის დროს გამომუშავდება და ააქტიურებს მექანიზმს, რომელიც გამოყოფს დედის რძეს და ასევე, დედობრივი ინსტინქტების გამომუშავებასაც განაპირობებს. გარდა ამისა, მას დაძაბულობის მოხსნაც შეძლებია.

ცნობილია ისიც, რომ მეცნიერების ინტერნაციონალურმა ჯგუფმა, რომელიც კემბრიჯისა და ფრიდრიხ-ვილჰელმის (ბონი) უნივერსიტეტების სპეციალისტებისგან გახლდათ დაკომპლექტებული, სპრეი მამაკაცებზე უკვე გამოსცადა და სასურველ შედეგსაც მიაღწია – ძლიერი სქესი ქალივით მგრძნობიარე გახდა. ისე, ამ „ალერსის ელექსირმა“ კაცებიც თუ მართლა ქალებივით მგრძნობიარეები გახადა, სულ მოფერება ხომ არ არის, შეშა ვინ უნდა დაჩეხოს, ან კარადები ვინღა გადადგას?!.

*myjane.ru*

## მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელი ჩინელი... მამაკაცია



53 წლის ჩინელი ფერმერი, გუო ფენგი იმდენად სასოწარკვეთილი ყოფილა, რომ გამწარებულს მკერდის მოკვეთა ცელით უცდია, თუმცა, საბედნიეროდ, მისი ოჯახის წევრებმა ფატალური შედეგის თავიდან აცილება მოახერხეს.

ის, რომ გუო ფენგს მკერდი ეზრდებოდა, ცნობილი 10 წლის წინათ გახდა, რის შემდეგაც, ცხადია, ფერმერმა ექიმებს მიმართა, რომლებმაც ვერც ამ უჩვეულო მოვლენის გამომწვევი მიზეზები ახსნეს და ვერც ოპერაციის ჩატარება გაბედეს, რადგან არსებობდა რისკი, რომ ქირურგიულ ჩარევას პაციენტი ვერ გადაიტანდა.

გარდა იმისა, რომ გუო ფენგს მკერდი მუშაობაში უშლის ხელს, მას ყველგან და ყოველთვის დასცინიან, რის გამოც მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელი მამაკაცი გამოსავალს ველარ პოულობს და უკვე თვითმკვლელობამდეც კია მისული.

– მას სისხლის ანალიზი რამდენჯერმე ჩავუტარეთ, თუმცა ყველაფერი წესრიგშია და არავითარი პათოლოგია არ ვითარდება. ამდენად, რატომ ეზრდება მამაკაცს მკერდი ასეთი სიხშირით, უბრალოდ, ვერ ავხსნით, – მხრებს იჩეჩენ ჩინელი მედიკოსები.

*tainamira.ru*

## ზოოპარკმა ჯამბაზი მაიმუნების... გასართობად დაიქირავა



თუკი აქამდე ფიქრობდით, რომ მაიმუნებიართობდნენ ადამიანებს და მათი განწყობის ამაღლებაზე ზრუნავდნენ, გერმანელებს სულ სხვაგვარი აზრი მოუვიდათ და გადაწყვიტეს, ახლა უკვე ადამიანს გაეხალისებინა მაიმუნები.

ჰოდა, სწორედ ამ მიზნით გერმანიის ერთ-ერთ ზოოპარკში, რომლის სახელწოდება რატომღაც, არ ზუსტდება, 45 წლის ჯამბაზი, კრისტინა პიტერი დაიქირავეს. მისი თქმით, ცხოველებისთვის ყოველდღე ახალ-ახალი წარმოდგენების გამართვა უწევს, თუმცა მთელი ეს პროცესი იმდენად ხალისიანია, რომ ზოოპარკის ამ უცნაური იდეით ძალიან კმაყოფილია.

რაც შეეხება თავად ზოოპარკის ადმინისტრაციის პოზიციას, როგორც ამბობენ, ცხოველები ხშირად ძალიან იღლებიან ადამიანებისგან. ჰოდა, დასვენება და გახალისება მათაც სჭირდებათ.

*mainfun.ru*

## ხანშიშესული ადამიანებისთვის პლასტიკური ოპერაციის ჩატარებას აზრი არ აქვს?



დიდხანს ფიქრობდნენ სპეციალისტები და ცდილობდნენ გაეცათ პასუხი კითხვაზე: რატომ ხდება, რომ ხანშიშესული ადამიანები, რომლებიც პლასტიკურ ოპერაციას იტარებენ, სასურველ შედეგს მაინც ვერაფრით აღწევენ? ხანგრძლივი კვლევების შემდეგ, როგორც იქნა, მიზეზის დადგენა მოხერხდა – სპეციალისტები განმარტავენ, რომ კანის პარალელურად, ბერდება და დეფორმაციას განიცდის ძვალიც, რასაც ის შედეგი მოსდევს, რომ ღაწვის ფორმები მნიშვნელოვნად იცვლება და უკან იზნიქება.

– ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა სრულყოფილად ჩატარდეს კანის დაჭიმვის პროცედურები, ის ძველ იერს მაინც ველარასოდეს აღიდგენს, – ასეთი შეუბრალებელი ყოფილა ბუნების კანონები.

ცხადია, გამოსავალი ამ შემთხვევაშიც არსებობს და ვიდრე ადამიანი კანის გამოსწორების ოპერაციას ჩაიტარებს, ჯერ ძვლები უნდა მოიყვანოს მწყობრში, თუმცა ეს პროცედურები გაცილებით ძვირი სიამოვნებაა. და კიდევ ერთი – აუცილებელია კბილების მდგომარეობის კონტროლიც, რადგან, თუკი ყველა კბილი ადგილზეა, ასეთ შემთხვევაში, ძვალი უფრო გვიან დეფორმირდება.

*medkarta.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ცოლმა ქმარი აფთიაქში გაგზავნა – პრეზერვატივები იყიდე და თან ორი „პიპეტკაც“ წამოიყოლეო... ქმარი აფთიაქიდან გამწარებული დაბრუნდა:

– მორჩა, აფთიაქში აღარასოდეს შევალ!!!

– ჰო, მაგრამ რა მოხდა ასეთი?

– რა და აფთიაქარს ვთხოვე, „2 პრეზერვატივი მინდა-მეთქი“. „არ გვაქვსო“, მიპასუხა. მაშინ ვუთხარი: „თუ ასეა, 2 „პიპეტკა“ მაინც მომეცით-მეთქი“... ისტერიკული სიცილი აუტყდა იმ შობელძაღლს!!!

*****

– ახალაი-ჩახალაი!..

– კოტე, ახალაი-ჩახალაი აქ არ გიშველის – ამხელა მანქანით კაცს ზედ გადაუარე – ჩქარა სასწრაფოში დარეკე!!!

*****

– მოკლედ, ვერაფრით ჩამოვყალიბდი, რა უფრო მჭირდება – ნაზად ჩახუტება თუ სნაიპერული შაშხანა?!

*****

რჩევა ქალებს:

– თუ ყველაზე ძლიერი, მოხერხებული, თამამი, ლამაზი და სექსუალური ხარ... სახლში წადი... მთვრალი ხარ...

*****



– შვილო, მაღაზიაში ჩაირბინე, რა.

– და ჯადოსნური სიტყვა?

– ინტერნეტს გაგითიშავ!

– მივრბივარ!!!

*****

ყველა ქალს ცხოვრებაში 2 საკითხი აწამებს:

1. სად იპოვოს ოცნების მამაკაცი?

2. და მერე რა ჯანდაბა მოუხერხეს ამ მიწადასაყრელს?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



მეუღლე თამარ სხულუხია, შვილები გია და ირმა სხულუხიები, რძალი ეკა ხაბურძანია, შვილიშვილები თამუნა, გუკა, ლუკა, მარი, იოანე, სიძე ირაკლი ჯღარკავა, პაპუნა ფარცვანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ ნიკოლოზის ძე სხულუხია**

**პანაშვიდი:** 16, 17 თებერვალს;
**დაკრძალვა:** 18 თებერვალს, 15 საათზე;
**მისამართი:** მუჯირიშვილის ქ. №10.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

# მეცნიერებმა თავსატეხი კი ამოხსნეს, მაგრამ მაინც ვერ გაიგეს



მათემატიკოსების გუნდმა დაახლოებით 120 წლის წინათ გაჩენილი თავსატეხის ამოხსნა გადაწყვიტა და ჩანაფიქრის განხორციელება 2006 წელს დაიწყო. ბევრი უფიქრიათ, უწვალიათ, უვიშვიშიათ და როგორც იქნა, სპეციალისტებმა სასურველ მიზანს მიაღწიეს – თავსატეხი ამოხსნეს, მაგრამ ამის მიუხედავად, მეცნიერები ვერაფრით ხვდებიან, მაინც რაზე მუშაობდნენ ასე თავგამოდებით.

თურმე, ამოცანის პასუხი იმდენად რთული გამოდგა, რომ ხელით ნაწერი ერთ მოზრდილ კუნძულს დაფარავდა, ხოლო თუკი მაქსიმალურად შეკვეცილი ვარიანტის მყარ დისკზე შენახვა მოუნდება ვინმეს, ის იმდენ ადგილს დაიკავებს, რამდენსაც 45-დღიანი შეუჩერებელი დაკვრისთვის საკმარისი „ემპე 3“ ფაილები.

რაც შეეხება თავად თავსატეხს, მას „ჯგუფი ე 8“ ეწოდება, რომელიც მათემატიკის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, მაგრამ ამოუხსნელი ობიექტი ყოფილა და 1887 წელს ნორვეგიელ მათემატიკოსს, სოფუს ლის შეუდგენია.

„ჯგუფი ე“ აღწერს სიმეტრიას სივრცეში, რომელსაც 57 განზომილება აქვს.

– რა არის ეს სინამდვილეში, ასობით მათემატიკოსიც რომ დაჯდეს, პასუხს ვერ მოიძიებს, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ მის არსში გარკვევას მთელი მსოფლიოს განვითარების რადიკალურად შეცვლა შეუძლია, – განმარტავს ჯეფრი ადამსი, პროექტის ხელმძღვანელი და მერილენდის მათემატიკის უნივერსიტეტის პროფესორი.

*მომზადა მიხეილ სახვაძემ*

*factroom.ru*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**14 თებერვალი:** არსებულ ვითარებას დაემორჩილეთ და დინებას მიჰყევით. ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა და თქვენი ჩარევა საჭირო არ გახდება.

**კურო 22.04-21.05**

**14 თებერვალი:** სასურველია, დღეს საკუთარ აზრებსა და გრძნობებში გაერკვიოთ. ადრინდელი გულის ტკივილი თავიდან ამოიგდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**14 თებერვალი:** დღეს ან არაფრად ჩაგაგდებენ, ან თქვენზე გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნებათ. შეეცადეთ, თქვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**14 თებერვალი:** დღეს დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. ამიტომ შეეცადე, თითოეული წუთი დილიდანვე მაქსიმალურად მომჭირნედ დახარჯოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**14 თებერვალი:** შეიძლება დღეს ზომაზე მეტი ილაპარაკოთ. შეეცადეთ, ხანდახან მაინც შეჩერდეთ, თუნდაც იმისთვის, რომ თანამოსაუბრის რეაქცია გაიგოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**14 თებერვალი:** დღეს თქვენს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს მაქსიმალური ყურადღება მიაქციეთ. თქვენი მონდომება სათანადოდ დაფასდება.

**სასწორი 23.09-22.10**

**14 თებერვალი:** თუ დღეს მშვიდი და უპრეტენზიო იქნებით, უსიამოვნებებს იოლად აიცილებთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონურ მორჩილებაში იყოთ. უფრო ქმედითი მეთოდებიც არსებობს.

**მორიელი 23.10-21.11**

**14 თებერვალი:** დღეს მხარდაჭერა დაგჭირდებათ. სანამ ვინმეს ამ თხოვნით მიმართავთ, დარწმუნდით, რომ ის ადამიანი კარგ განწყობაზეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოგივათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**14 თებერვალი:** არცთუ იოლი დღე იქნება. წინა დღით ნათქვამი გაუაზრებელი სიტყვების შედეგების გამოსწორებაზე შეიძლება მთელი დღე დახარჯოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**14 თებერვალი:** დადგა დრო, ადრე გაკეთებული საქმეების მისაღებად მოემზადოთ. გამონახეთ დრო დასვენებისთვის, საქმეები არსად გაგექცევათ.

**მერწყული 20.01-18.02**

**14 თებერვალი:** დღეს იმდენად ჭკუამხიარული იქნებით, რამდენის საშუალებასაც თქვენი ასაკი და საზოგადოებრივი მდგომარეობა მოგცემთ. სისულელეების კეთება ზოგჯერ სასიამოვნოა, მაგრამ ზომა უნდა იცოდეთ.

**თევზები 19.02-20.03**

**14 თებერვალი:** შეიძლება მოულოდნელად ძველი, თითქოსდა დავიწყებული გრძნობები დაგიბრუნდეთ. კარგია ეს თუ ცუდი, თავად გაიგებთ.

# საწოლქვეშა სივრცის კვლევის ძალიან საინტერესო შედეგები



ხშირად, საკმაოდ საინტერესო საგნების აღმოჩენა შეიძლება, თუკი არ დაიზარებთ და საწოლის ქვეშ შეიხედავთ – დაწყებული გასარეცხი წინდებიდან, სექსსათამაშოებით დასრულებული.

როგორც ირკვევა, აღნიშნული მიზნით ერთგვარი კვლევა ლონდონის სასტუმროების ქსელის ასოციაციამ ჩაატარა და მართლაც საინტერესო აღმოჩენებიც გააკეთა. მაგალითად, გაირკვა, რომ ერთმა მამაკაცმა საწოლის ქვეშ საკუთარი მეუღლის საყვარელს მიაგნო და მხოლოდ ამის შემდეგღა გაიგო, რომ ცოლს ლესბოსური გატაცებები ჰქონია. გარდა ამისა, დაფიქსირებულა შემთხვევები, როცა საწოლქვეშ ადამიანები პოულობდნენ ჭუჭყიან თეფშებს, გიტარებსა და დიდი ხნის წინ გაფუჭებულ კერძებსაც კი.

ერთი ლონდონელი დიასახლისი დიდი ხნის განმავლობაში წუხდა სახლში დატრიალებული უსიამოვნო სუნით და ბოლოს იფიქრა, ალბათ, გაზქურა იქნება დაზიანებულიო. საბოლოო ჯამში, სუნის ძებნამ ის საწოლამდე მიიყვანა, სადაც საკუთარი ქმრის წინდებს მიაგნო, რომელიც დაახლოებით 2 წლის წინათ ულიარებიათ დაკარგულად.

ერთმა ინგლისელმა მამაკაცმა, როცა ის სიდედრს საწოლის გადატანაში ეხმარებოდა, მის ქვეშ სექსსათამაშოების კოლექცია იპოვა. სიდედრს სირცხვილისგან გულიც კი წასვლია, მაგრამ რაღა დროს?!.

საინტერესოა, რომ საწოლის ქვეშ მტვერსასრუტს მხოლოდ ყოველი მეხუთე ინგლისელი ქალი ჰყოფს, რათა იქაურობა დაასუფთაოს, დანარჩენ შემთხვევაში, ეს ადგილი თვეების მანძილზე ბინძურდება.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში და რამდენად ხშირად იხედებიან საწოლქვეშ ქართველი ქალები?

*factroom.ru*

*მომზადა მიხეილ სახვაძემ*



მეგობრები შეხვდნენ. ერთი საშინლად მოწყენილია...
– რა გჭირს, რატომ ჩამოგტირის ცხვირ-პირი?
– შენ რა, არ გაგიგია – ავთანდილოვიჩი მოკვდა.
– როგორ?!
– სახლში მივიდა, ცოტა დალია, წამოწვა და სიგარეტს მოუკიდა...
– და დაიწვა?
– არა, ფანჯრის გაღება და გადახტომა მოასწრო...
– ესე იგი, ასფალტს დაენარცხა და ისე მოკვდა?!!!
– არა... სანამ გადახტებოდა, პოლიციისა და სახანძროს გამოძახება მოასწრო. იმათაც ტენტი გაშალეს... ავთანდილოვიჩი ტენტს დაახტა, მაგრამ ინერციით ისევ ფანჯარაში შევარდა...
– და დაიწვა, ხო?!
– არა, არა... ფანჯრის რაფას დაეკიდა და მერე ისევ ჩახტა...
– და ასფალტს დაენარცხა?!!!
– არა, კაცო, იქ ხომ მეხანძრეები იდგნენ ტენტით... დაახტა იმას, მაგრამ ახლა გვერდით აისხლიტა და ტენტიან „კამაზს“ დაეცა... ისევ ფანჯარაში შეხტა...
– ვაჰ, გამაგებინე, ბოლოს და ბოლოს, როგორ მოკვდა?!
– როგორ და დაიღალა ყველა და პოლიციამ ესროლა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.03

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.